დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა გიორგაძე

წევრები:

ია სოხაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,

შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

ირმა ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

მაკა ნადარეიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი,

ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი,

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,

ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი,

ლალი აბულაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი,

საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი,

ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	235444382

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლედგებე
იურიდიული მისამართი	სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლედგებე
ფაქტობრივი მისამართი	სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლედგებე
საფოსტო ინდექსი	3100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ledgebe@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551091280

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0000933938, 2023 წლის 27 ივლისი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21-22 აგვისტო, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლებლის დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე
	ზოგადი განათლებლის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე
	ზოგადი განათლებლის საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მარტვილი, სოფელი ლედგებე

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების მენეჯმენტს, ადმინისტრაციულ პერსონალს და მასწავლებლებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივი ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტისა, რომელიც იმყოფებოდა სკოლაში) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 154	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა;
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურეს საგანმანათლებლო პროგრამა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურ საგანმანათლებლო პროგრამა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1 (2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	სკოლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად უნდა გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით მისაღწევი მიზნები, მათ მისაღწევად რელევანტური ამოცანები და შესაბამისად შეიმუშაოს სტრატეგიის დანერგვის გეგმაც.
ინდიკატორი N.1.2.1 (3)	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმისა და თვითშეფასების შესაბამისად.
ინდიკატორი N.1.2.1	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და	სკოლამ სამოქმედო გეგმით უნდა უზრუნველყო სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახულ

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

(4)	ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	მიზნებისა და ამოცანების ჩაშლა აქტივობებად დ განსაზღვროს თითოეულის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რეალისტური რესურსები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.1 (2)	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლამ უნდა გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და კონკრეტულ საკითხზე/პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისას პასუხისმგებლობები გადაანაწილოს სკოლის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად.
№ 3.3.2 (1)	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.	სკოლამ უნდა შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების წესი/მექანიზმი.
3.4.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უნდა უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

3.6.3. (1)	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის/ვებგვერდზე საკუთარი გვერდის ფუნქციონირება.
3.6.3 (4)	სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ ვებგვერდზე/ვებგვერდის შესაბამის გევრდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია ქართულ ენაზე.
3.6.3. (5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების	სკოლამ ვებგვერდზე საჯაროდ უნდა განათავსოს შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო მონაცემები.

	შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხურეს საგანმანათლებლო პროგრამა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისი აღჭურვილობით და სასწავლო პროცესში მისი გამოყენება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურ საგანმანათლებლო პროგრამა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლამ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიის მოწყობა შესაბამისი აღჭურვილობით და სასწავლო პროცესში მისი გამოყენება.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N.1.2.2 (1)	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სასურველია, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდებოდეს შუალედურად, განხორციელების პროცესშიც და არა მხოლოდ შესაბამისი გეგმიური ვადის გასვლის შემდეგ.
3.4.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია, სკოლამ შრომითი/მომსახურებ ხელშეკრულებით აიყვანოს შრომის უსაფრთხოებ სპეციალისტი.
3.5.1. (1)	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სასურველია, საჭიროების შემთხვევაში სკოლამ უზრუნველყოს სპორტის გაკვეთილების განხორციელების შესაძლებლობა დახურულ სპორტულბ დარბაზში.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N...		.....

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საგაზო საფეხურის კურიკულუმი*	*რჩევა*
2.1.2(4)	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:* *1. საზოგადეობრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგანში ,,მოქალაქეობა" რუბრიკა არის ზოგადი და საჭიროა მისი დაკონკრეტება სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.* *2. არასრული ფორმით არის წარმოდგენილი(მხოლოდ ორი ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევის ინდიკატორია წარმოდგენილი), გეოგრაფიაში. შესაბამისად, რუბრიკები დასახვეწი და განსავითარებელია.* *3. სკოლამ უნდა შეიმუშავოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ,,ისტორიაში"*
2.2.2(3)	*შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;*	*1. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგანში ,,მოქალაქეობა" რუბრიკა არის ზოგადი და საჭიროა მისი დაკონკრეტება სხვადასხვა*

		საკითხებთან მიმართებაში. *2. არასრული ფორმით არის წარმოდგენილი(მხოლოდ ორი ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევის ინდიკატორია წარმოდგენილი), გეოგრაფიაში. შესაბამისად, რუბრიკები დასახვეწი და განსავითარებელია.* *3. სკოლამ უნდა შეიმუშავოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ,,ისტორიაში“*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) საშუალო საფეხურის კურიკულუმი*	*რჩევა*
2.1.2(4)	*განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;*	*სკოლას მიეცა რამდენიმე რჩევა:* *1. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემავალ საგანში ,,ისტორია“ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში დასაკორექტირებელია თემის ფარგლებში თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ოდენობები. კერძოდ, დაუშვებელია თითოეული ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევა სხვადასხვა ოდენობის ქულით შეფასდეს, აუცილებელია, ეს ოდენობა თანაბარი იყოს თითოეული ცნების შემთხვევაში.* *2. ,,ისტორიაში“ უნდა შემუშავდეს განმავითარებელეი შეფასების რუბრიკა, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საჭიროებს*

		დაკორექტირება/დახვეწა/განვითარებას. *3. შესამუშავებელია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ,,მოქალაქეობასა" და ,,გეოგრაფიაში".*
2.2.2(3)	*შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;*	*1. ,,ისტორიის" განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დაკორექტირება/დახვეწა/განვითარებას* *2. შესამუშავებელია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ,,მოქალაქეობასა" და ,,გეოგრაფიაში."* *3. სკოლამ რაიმე ფორმით სკოლამ წერილობით ასახოს/განავითაროს/დახვეწოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მიდგომები/სტრატეგიები/მეთოდები.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

1. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (გეგმა მოიცავდა 2022-2030 წლების პერიოდს, თუმცა, დაგეგმილი იყო სასწავლო წლების მიხედვით). გეგმა შემუშავებული იყო განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე. ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორთან მიმართებით დაადგინა ხარვეზი, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმის ნარატივსა და სტრატეგიის დანერგვის გეგმით (სტრატეგიული განვითარების გეგმის დანართი) გათვალისწინებულ შინაარსში იყო რიგი შეუსაბამობები. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის შემუშავება, რომელშიც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით მუშაობის შედეგები, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სკოლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით მისაღწევი მიზნები, მათ მისაღწევად რელევანტური ამოცანები და შესაბამისად შეიმუშაოს სტრატეგიის დანერგვის გეგმაც. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. ვიზიტის მიმდინარეობისას სტრატეგიული გეგმისა და თვითშეფასების შესაბამისად შემუშავებული სამოქმედო გეგმა სკოლას საბოლოო სახით შემუშავებული და დამტკიცებული არ ჰქონდა, თუმცა, შემუშავებული ჰქონდა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის შემუშავება, რომელშიც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სკოლამ მოახდინოს სამოქმედო გეგმის რევიზია სტრატეგიული განვითარების გეგმის რევიზიის შემდეგ. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

3. სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნებოდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამის აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ საკუთარი თავი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის შესაბამის ინდიკატორთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სკოლამ სამოქმედო გეგმით უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების ჩაშლა აქტივობებად და განსაზღვროს თითოეულის შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რეალისტური რესურსების განსაზღვრა. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. სკოლის თანამშრომლების ფუნქციები გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, თითოეულ შემთხვევაში სამუშაო მოვალეობებში გამოკვეთილია სამუშაოს სპეციფიკა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში ვხვდებით ისეთ პასუხისმგებელ პირებს, რომლის შესაბამისი პოზიციაც არ არის გათვალისწინებული დაწესებულების სტრუქტურით და საშტატო განრიგით (მაგ. ხარისხის მართვის მენეჯერი), შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ იქნა მიჩნებული დაკმაყოფილებულად. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციაა, სკოლამ გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და კონკრეტულ საკითხზე/პროცესზე

პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისას პასუხისმგებლობები გადაანაწილოს სკოლის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად. ინდიკატორთან მიმართებით სკოლა შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. სკოლაში მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობს საკუთარი დებულების საფუძველზე. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეაფასა როგორც შესაბამისი.

6. სკოლის მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შემდეგ, ხარისხის ჯგუფის დებულების შესაბამისად ხორციელდება პროფესიული განვითარების დაგეგმვა, რაც პასუხობს გამოვლენილ საჭიროებებს. ამასთან, ასეთი მექანიზმი შემუშავებული არ არის ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რის გამოც ჩაითვალა, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეაფასა როგორც შესაბამისი.

7. მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია. ამასთან, შესაბამისი საკითხის მარეგულირებელი ზოგადი წესი სკოლას არ აქვს და სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, არაუმეტეს 12 თვის ვადაში სკოლამ შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების (პერსონალი, მოსწავლე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი) ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეგაირების მექანიზმი/წესი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

8. სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და დასკვნა შენობა-ნაგებობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს ხარვეზის აღმოფხვრას არაუმეტეს 12 თვის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. სკოლა ინდიკატორთან მიმართებით ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

9. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოების ინფორმირების/კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ გეგმავს სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ამასთან, სკოლას საკუთარი ვებგვერდი ჯერ არ აქვს, რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა არაუმეტეს 12 თვის ვადაში გეგმავს ინდიკატორთან მოვიდეს სრულ შესაბამისობაში, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია რეალისტურად და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

10. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა ინფორმაცია ქართულ ენაზე. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ (რომლითაც დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, არაუმეტეს 12 თვის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმაც) დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

11. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს, ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის ჩამონათვალს: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთან, სკოლას ვიზიტის მიმდინარეობისას არ ჰქონდა მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა შესაბამისი ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს და არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში გეგმავს უზრუნველყოს შეუსაბამობის აღმოფხვრა, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეალისტურია. ინდიკატორთან მიმართებით სკოლა მეტწილად შესაბამისია.
12. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რის საფუძველზეც 2.2 კომპონენტთან მიმართებით (კურიკულუმის განხორციელება) დადგინდა ხარვეზი (საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები). შესაბამისობის გეგმის მიხედვით, დაწესებულება არაუმეტეს 12 თვის ვადაში გეგმავს ხარვეზის აღმოფხვრას. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულება კომპონენტთან მიმარეთებით შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისიაა სკოლაში ისეთი ჯანსაღი, მრავალფეროვანი კულტურის, თანამშრომლობითი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომ შესაძლებელი გახდეს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, კონკურენტუნარიანი, წარმატებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური ღირებულებების შესაქმნელად.

სკოლის ხედვაა, გახდეს წამყვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამისი განათლების მიმწოდებელთა შორის. დაწესებულების განაცხადის შესაბამისად, ამ მიზნით, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება: სკოლის ყველა საფეხურზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება; თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.
სკოლის მისიის განაცხადი და ხედვა შესაბამოსობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და **ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, რაც ასევე ასახულია სკოლის თვითშეფასებაშიც, 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავენ სკოლის სტრუქტურული ერთეულების და მშობლების ჩართულობით შექმნან წარმომადგენლობითი ორგანო და 2024 წლის იანვრამდე განიხილონ და დააზუსტონ მისიის და ხედვის განაცხადი.
2. სკოლის მისია და ხედვა უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაზე აკეთებს აქცენტს. ასეთ სივრცედ ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს ასევე სკოლაში წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების და მშობლების ჩართულობით, როგორც ამას დაწესებულება გეგმავს. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ორგანოს ფუნქცია, გარდა მისიის და ხედვის რევიზიისა, იქნება თემთან კომუნიკაცია და თემის საჭიროებების შესწავლა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, შემუშავებულია განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე, სკოლის დირექტორის და მასწავლებლების ჩართულობით. დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს, დოკუმენტირებული არ არის იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისათვის მოქმედი სტანდარტი აღნიშნულზე არ აკეთებდა აქცენტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება გეგმავს მოახდინოს მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზია, რის შემდეგაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესებთან და თემის საჭიროებებთან შესაბამისობა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება არსებული პრაქტიკით ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც დამრიგებლები საინფორმაციო-საორგანიზაციო შეხვედრას ახორციელებენ მოსწავლეთა მშობლებთან, ასევე მისია და ხედვა განთავსებულია ფოიეში თვალსაჩინო ადგილას (აღსანიშნავია, რომ განთავსებული ტექსტი საჭიროებს კორექტირებას) . ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება გეგმავს მისიისა და ხედვის რევიზიას და მის გასაჯაროებას ვებგვერდის საშუალებითაც, ასევე, გეგმავს, დაგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, განათავსოს ელექტრონულ ჟურნალშიც. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის ფოიეში, რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. მომავალში, დაწესებულება გეგმავს მის განთავსებას ვებგვერდზეც, ასევე, სხვა საშუალებების გამოყენებას (ელექტრონული ფოსტით დაგზავნა და ა.შ.) მისი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ლედგებეს საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების“ შესახებ დადგენილ ნორმებს. საჯარო სკოლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გამოცემული ბრძანება განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების /და დაინტერესებული მხარეების ჩართვაზე. დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

მასწავლებლები და მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ასევე, სასურველია ჯგუფში მოწვეულ იქნენ გარე დაინტერესებული მხარეთა წარმომადგენლებიც. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (გეგმა მოიცავდა 2022-2030 წლების პერიოდს, თუმცა, დაგეგმილი იყო სასწავლო წლების მიხედვით). გეგმა შემუშავებული იყო განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების დამტკიცებამდე. ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორთან მიმართებით დაადგინა ხარვეზი, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმის ნარატივსა და სტრატეგიის დანერგვის გეგმით (სტრატეგიული განვითარების გეგმის დანართი) გათვალისწინებულ შინაარსში იყო რიგი შეუსაბამობები. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის შემუშავება, რომელშიც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით მუშაობის შედეგები, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სკოლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად გადახედოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და განსაზღვროს სტრატეგიული დაგეგმვის ვადით მისაღწევი მიზნები, მათ მისაღწევად რელევანტური ამოცანები და შესაბამისად შეიმუშაოს სტრატეგიის დანერგვის გეგმაც. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას სტრატეგიული გეგმის და თვითშეფასების შესაბამისად შემუშავებული სამოქმედო გეგმა სკოლას საბოლოო სახით შემუშავებული და დამტკიცებული არ ჰქონდა, თუმცა, შემუშავებული ჰქონდა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისობის გეგმის შემუშავება, რომელშიც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, სკოლამ მოახდინოს სამოქმედო გეგმის რევიზია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობის დასრულების შემდეგ. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

4. სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული იქნებოდა სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამის აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულებამ საკუთარი თავი შეაფასა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის შესაბამის ინდიკატორთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სკოლამ სამოქმედო გეგმით უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული მიზნებისა და ამოცანების ჩაშლა აქტივობებად და განსაზღვროს თითოეულის შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირებს/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რეალისტური რესურსების განსაზღვრა. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა (ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება არაგეგმიური მონიტორინგიც) **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის გეგმიური მონიტორინგი განახორციელოს შუალედურადაც და არა მხოლოდ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ.

2. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების მექანიზმს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დოკუმენტი ახალი შემუშავებულია (განახლებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით), გასული წლების მანძილზე მონიტორინგის და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია ბუნებრივად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი. შესაბამისად, **სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროვების მექანიზმს, დოკუმენტის შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. **სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

4. სკოლის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნეს სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით. დოკუმენტის მიხედვით, წლის ბოლოს გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **სტანდარტის ინდიკატორი პირველი ავტორიზაციის პროცესში ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის წესი, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა კანონქვემდებარე აქტების და სკოლის საჭიროებების შესაბამისად განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურას, თითოეული თანამდებობისათვის ადგენს ფუნქცია-მოვალეობებს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტრუქტურული ერთეულების/პირების

ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული და **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. თანამშრომლების ფუნქციები გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, თითოეულ შემთხვევაში სამუშაო მოვალეობებში გამოკვეთილია სამუშაოს სპეციფიკა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები განახლებული ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში ვხვდებით ისეთ პასუხისმგებელ პირებს, რომლის შესაბამისი პოზიციაც არ არის გათვალისწინებული დაწესებულების სტრუქტურით და საშტატო განრიგით (მაგ. ხარისხის მართვის მენეჯერი), შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ იქნა მიჩნებული დაკმაყოფილებულად. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც საკუთარ თავს ინდიკატორთან მიმართებით აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. რაც გულისხმობს არაუმეტეს 12 თვის ვადაში ხარვეზის აღმოფხვრა. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციაა, სკოლამ გადახედოს მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს და კონკრეტულ საკითხზე/პროცესზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისას პასუხისმგებლობები გადაანაწილოს სკოლის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის შესაბამისად. ინდიკატორთან მიმართებით სკოლა შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის პერსონალის მართვის წესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესებს დაწესებულებაში არეგულირებს ორი დოკუმენტი: პერსონალის მართვის წესი და პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა. წესები და პროცედურები ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. დოკუმენტები ახალი დამტკიცებულია, შესაბამისად, მისი განხორციელების პროცესი ბუნებრივია, რომ ჯერ არ არის დოკუმენტირებული. შესაბამისად, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის მართვის წესი და პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა უზრუნველყოფს პრევენციას. ინტერვენციის საკითხებს დამატებით არეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხის განხილვის პროცედურას და დისციპლინური პასუსხისმგებლობის ზომებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის მართვის წესი და პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, როგორც მასწავლებლის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაოზე აყვანისათვის განსაზღვრულია კონკურსის ზოგადი წესი, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში დაცული იქნება ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, პირად საქმეებში წარმოდგენილია ცნობები „ნასამართლობის“, „უფლების ჩამორთმევის“ და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - სკოლის პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და სკოლის შიდა რეგულაციით დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა, ღირებულებები, სკოლის შიდა რეგულაციები, რომელიც სწორებას აკეთებს გუნდურ მუშაობაზე, მოწმობს ჯანსაღ ორგანიზაციულ კულტურას სკოლაში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას განსაზღვრული აქვს წახალისების ფორმები დადებითი, წარმატებული გამოცდილების შემთხვევაში. ინფორმაციის გაზიარების საკითხებს არეგულირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ კონკრეტული მაგალითების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვა არ მომხდარა და **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის მართვის წესი;
პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა;

სკოლის შინაგანაწესი;
სკოლის პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მასწავლებლების საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი, რომელიც საქმიანობს საკუთარი დებულების საფუძველზე. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას არ ჰქონდა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეაფასა როგორც **შესაბამისი.**

2. სკოლის მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შემდეგ, ხარისხის ჯგუფის დებულების შესაბამისად ხორციელდება პროფესიული განვითარების დაგეგმვა, რაც პასუხობს გამოვლენილ საჭიროებებს. ამასთან, ასეთი მექანიზმი შემუშავებული არ არის ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, რის გამოც ჩაითვალა, რომ სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული. შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეაფასა როგორც **შესაბამისი.**

3. სკოლის წარმომადგენლების განმარტების მიხედვით, სკოლა აფასებს სკოლის პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს და კვეთს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. სკოლის მასწავლებლების სამუშაოს შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის ჯგუფი. ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, შესაბამისი მექანიზმი დოკუმენტის სახით სკოლას ჯერ შემუშავებულიარ აქვს და სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს ახლად დაქირავებული თანამშრომლის ორგანიზაციასა და მის გარემოში ადაპტაცია-ორიენტაციის პროგრამა, რომელიც მოიაზრებს მის გარკვევას სკოლის საერთო მიზნებსა და ამოცანებში და მიღებული ქცევის სტანდარტებში. ახალი თანამშრომლის გაცნობას სხვა თანამშრომლებთან - საორიენტაციო პროგრამა ასევე გულისხმობს ახალი თანამშრომლის გარკვევას მის პირად ფუნქცია-მოვალეობებში, ხელშეწყობას სამუშაო გარემოში ეფექტურად ინტეგრიერებასა და სოციალიზაციაში; უშუალო ხელმძღვანელი, ახალ თანამშრომელს გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას,რომელიც ასევე გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელსეკრულებაში და განუმარტავს, თუ რას გულისმობს არსებული სამუშაოს მოთხოვნები; უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შინაგანაწესით განსაღვრული აქვს პერსონალის წახალისების ფორმები. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პერსონალის განვითარებასთან დაკავშრებული ინიციატივების წახალისებას მოწმობს სკოლაში განხორციელებული პროექტები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

პერსონალის მართვის წესი;
პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცედურა;
სკოლის ხარისხის ჯგუფის დებულება;
ხარისხის ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშვებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.
ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს შემდეგ პროცესებს:
ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
გ) შემოწმების განხორციელება;
დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;
ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია თითოეული ეტაპის განხორციელების პროცედურა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. თითეული მათგანი აღწერილია ნაწილობრივ ამავე დოკუმენტში, ნაწილობრივ კი სხვა მარეგულირებელ წესებსა და დოკუმენტებში (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, პერსონალის მართვის წესი, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის წესები და ა.შ.). ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესით დეტალურად არის განსაზღვრული სკოლის პერსონალის მიერ დისცპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხის განხილვის წესი, ასევე, უზრუნველყოფილია დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

გასაჩივრების შესაძლებლობა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას, განსაზღვრავს სპეციალური კომისიის შექმნის წესს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების მათი უფლებების შესახებ ინფორმირების მექანიზმებს, განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ვალდებულებები, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს სასკოლო საზოგადოების წევრების კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვა. ასევე განსაზღვრულია უფლების დარღვევის შემთხვევაში საკითხის სპეციალური კომისიის მიერ განხილვის შესაძლებლობა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
მოსწავლეთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია. ამასთან, შესაბამისი საკითხის მარეგულირებელი ზოგადი წესი სკოლას არ აქვს და სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, არაუმეტეს 12 თვის ვადაში სკოლამ შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების (პერსონალი, მოსწავლე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი) ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეგაირების მექანიზმი/წესი. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა

თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყო სასკოლო ცხოვრებაში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექზნისმები, დოკუმენტის სახით, რომელიც აღწერს ამ მიზნით სკოლაში არსებულ რესურსებს და ხელმისაწვდომ სერვისებს. სკოლის ტერიტორიაზე მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტს, სკოლას ჰყავს ამავე ბრძანებით განსაზღვრული აუცილებელი კვალიფიკაციის მქონე ერთი ექიმი და უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; სკოლაში მოქმედი წესები (აკრძალული ნივთების ჩამონათვალი, სკოლაში უცხო პირთა შემოსვლის შეზღუდვა და ა.შ.), უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. ამასთან, სკოლას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და დასკვნა შენობა-ნაგებობის ექპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გაიცა რჩევა, სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით თავს აფასებს როგორც მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისს, რაც გულისხმობს ხარვეზის აღმოფხვრას არაუმეტეს 12 თვის ვადაში. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, უზრუნველყოს: საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმება; დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. სკოლა ინდიკატორთან მიმართებით ფასდება როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო სკოლაში უზრუნველყოფილია დამრიგებლების მუშაობით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესებსაც. განსაზღვრულია სკოლაში ყოველდღიურად, ყოველკვირეულად და ყოველთვიურად, გენერალურად დასუფთავების ნორმები. სკოლას ყავს შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელი პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მონაცემების დაცვის წესი (დოკუმენტში ტექნიკური უზუსტობაა და შესწორებას საჭიროებს დოკუმენტის სახელწოდება). დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლო შემთხვევებს და წესს, რომელიც შეესაბამება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონს. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია მონაცემთა სუბიექტის უფლებები, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი და თანამშრომელთა ვალდებულებები, რაც ემსახურება კანონმდებლობასთან შესაბამისობას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლას სრული რეაბილიტაცია 2021 წელს ჩაუტარდა. დაწესებულების წარმომადგენლების აზრით, არსებული ფართი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამებოდეს თანამედროვე გამოწვევებს. სკოლის შენობა ერთსართულიანია და მხოლოდ 154 მოსწავლეზეა გათვალისწინებული. 154 მოსწავლისათვის მომსახურების გაწევის მიზნით, სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს ორ ცვლაში. არსებული გარემონტებული ფართით გათვალისწინებულია 6 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, მანდატურის პატარა ოთახი, ექიმის ოთახი, სასადილო ოთახი, კომპიუტერისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, და ბიბლიოთეკა. სკოლას აქვს მინი ხელოვნურ საფარიანი მოედანი, მაგრამ უამინდობისას, სპორტული აქტივობები ტარდება სააქტო დარბაზში, სადაც ამავდროულად განთავსებულია ბიბლიოთეკაც. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, განაგრძოს კომუნიკაცია სხვადასხვა უწყებებთან, სკოლის სპორტული დარბაზით უზრუნველყოფის მიზნით. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის არაერთი მცდელობა ჰქონდათ.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. სკოლაში ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, ქსეროქსის აპარატების ყველასთვის ხელმისაწვდომია. არსებული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებული აქვს სკოლას, არეგულირებს ინფრასტრტუქტურით სარგებლობის და მისი დაცვის წესს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შენობა ერთსართულიანია და აქვს სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები, ეგრეთწოდებული პანდუსები და უკანა ეზოდან ლიფტით ამოსასვლელი. სასკოლო საპირფარეშო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის; ამჟამად სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომლის მოთხოვნილებებზე მორგებული საკლასო გარემო, მერხი, დაფა, საკიდი, ადაპტირებული სველი წერტილი. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, სკოლას ჰქონდეს სოციო-კულტურული სივრცის დატვირთვა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას ბალანსზე აქვს კურიკულუმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასკოლო მერხები და სკამები, დაფები, კომპიუტერები და სხვა ინვენტარი და საშულებები, სპორტული მოედანი და ბიბლიოთეკა, რაც ემსახურება კურიკულუმის განხორციელებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
ამონაწერები უძრავი ქონების რეესტრიდან;
საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო
რესურსების კატალოგი;

ვიზუალური დათვალიერება;
სკოლის ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის ბალანსზე არსებული კომპიუტერები გამოიყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში და სასწავლო პროცესში. მოსწავლეების და პერსონალის რაოდენობის და კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის მისი ხელმისაწვდომობა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;
სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საქმისწარმოების ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტაციის ორგანიზაციის, აღრიცხვიანობის, წარმოების საკითხებს. ინსტრუქცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში დანერგილია eflow - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სკოლის მართვის პროცესში ასევე გამოიყენება Eschool სისტემა, როგორც ყველა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის შემთხვევაში. პერსონალი მუშაობის პროცესში იყენებს თანამედროვე საოფისე პროგრამებს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა ბაზაში ასახული მონაცემები და ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ხორციელდება შემოსულ კორესპოდენციებზე დროული უკუგება და ანგარიშგება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის საქმისწარმოების ინსტრუქცია;
ზოგადი განათლების საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოების ინფორმირების/კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს, თუ როგორ გეგმავს სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ვებგვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. ამასთან, სკოლას საკუთარი ვებგვერდი ჯერ არ აქვს, რის გამოც სტანდარტის ინდიკატორი არ ჩაითვალა დაკმაყოფილებულად. შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა არაუმეტეს 12 თვის ვადაში გეგმავს ინდიკატორთან მოვიდეს სრულ შესაბამისობაში, რაც ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია რეალისტურად და სკოლა ინდიკატორთან მიმართებით შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

2. სკოლაში დამტკიცებული საზოგადოების ინფორმირების/კომუნიკაციის წესის შესაბამისად, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესში გამოკვეთილია საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირის სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენების მიზანი, რაც ცხადყოფს დაწესებულების მზაობას, იმუშაოს ამ მიმართულებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა ინფორმაცია ქართულ ენაზე. შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ (რომლითაც დაწესებულებამ გამოხატა მზაობა, არაუმეტეს 12 თვის ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი, რაც რეალისტურად მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფმაც) დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით

შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

5. საზოგადოებასთაბ ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს, ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის ჩამონათვალს: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთან, სკოლას ვიზიტის მიმდინარეობისას არ ჰქონდა მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნებოდა შესაბამისი ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმის მიხედვით დაწესებულება ინდიკატორთან მიმართებით საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს და არაუმეტეს 12 თვის განმავლობაში გეგმავს უზრუნველყოს შეუსაბამობის აღმოფხვრა, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რეალისტურია. ინდიკატორთან მიმართებით სკოლა **მეტწილად შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***
- **შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.**

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლას დამტკიცებული არ აქვს სამოქმედო გეგმა, თუმცა, შემუშავებული აქვს პროექტი. დაგეგმილი და განხორციელებული პროცესები, შინაარსის და პასუხისმგებელი პირების გათვალისწინებით, შესრულებადია სკოლის ბიუჯეტით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, დაფინანსების დინამიკის და წლიური ანგარიშგების დოკუმენტის გამოთხოვა და გადამოწმება არ მომხდარა. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ბიუჯეტი;
სკოლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიებისუზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სპეციალური წესი, რომელის განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლება-მოვალეობებს. უზრუნველყოფილია თანამშრომელთა მიერ საკუთარი ვალდებულებების განხორციელება, უზრუნველყოფილია მოსწავლეებისათვის სასკოლო რეგულაციების/წესების გაცნობა. ამავე მიზანს ემსახურება ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასკოლო რეგულაციების გამჭვრივალობაზე მეტყველებს სკოლის ფოიეში გამოკრული შენაგანაწესი. ასევე, ვიზტის დროს დამტკიცდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეგულაცია, რაც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. დაწესებულება გეგმავს აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, მათ შორის, განათავსოს ვებგვერდზეც. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ხელშეკრულების ნიმუშები და დადგინდა მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის შინაგაწესი;
სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;
სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.

შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები - აღნიშნულ პროცესებში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული წესით და მათ საფუძველზე შემუშავებული საკუთარი რეგულაციებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის დოკუმენტაციის პროცედურის შესწავლა და ემისის ბაზის შემოწმება ამ მიზნით არ მომხდარა, ამასთან, **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალა.**
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი - სკოლის სერვისების შესახებ ასახულია ხელშეკრულებაში, რომელსაც ეცნობა

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულების გაფორმებამდე. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, ყველა დაინტერესებულ მშობელს აქვს შესაძლებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე სკოლის ადმინისტრაციასთან დააზუსტოს ყველა საკითხი. სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია სკოლაში სწავლის პირობების შესახებ, სოლის პროგრამის, სკოლაში განხორციელებული აქტივობების/პროექტების შესახებ ინფორმაცია ასევე ასახულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში არ არის კონკრეტული დოკუმენტი,რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გამოქვეყნების წესებს. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც გამჭვირვალე, კანონმდებლობის შესაბამისი, განახლებული და არადისკრიმინაციული. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;

სკოლის საინფორმაციო დაფის ვიზუალური დათვალიერება;

სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში;

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

o ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერასკანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფსდამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტრვიუს პროცესში მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ საწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა სასწავლო პროცესის თანმდევი პროცესია. სკოლას აქვს სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გაწერილია შესაბამისი შიინარსის მქონე აქტივობები. ადმინისტრაციამ წარმოადგინა სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა სასწავლო- შემოქმედებითი აქტივობის ამსახველი მასალა, რომელიც ასახავს პოზიტიურ და ადაპტირებულ სასწავლო გარემოს. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლის კონსულტაცია და მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, სადამრიგებლო პროგრამით, მასწავლებლების ფუნქციებით. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა და **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას - ადმინისატრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლაში დამატებითი არაფორმალური აქტივობების სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის აქტივობას. აღნიშნულს ადასტურებს მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელებული პროექტები. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას - იმის

გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა და **სტანდარტის ინდიკატორი ჩაითვალა დაკმაყოფილებულად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამები;
სკოლის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
მოსწავლეთა მონაწილეობით სკოლაში განხორციელებული პროექტები.

შეფასება:

o ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის - იმის გათვალისწინებით,

რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაცია სკოლას ჯერ არ აქვს;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, შესაბამისი დოკუმენტაცია სკოლას ჯერ არ აქვს;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს - იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად გადის ავტორიზაციას, ინდიკატორთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შნიშვნა: ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა მკიცებულებების გზამკვლევით, რომელიც სკოლას ავტორიზაციის პირველად გავლის პროცესში არ ავალდებულებს, ჰქონდეს მტკიცებულებები ზემოთ მოცემული ინდიკატორის მიზნებისთვის.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის

პრინციპებს - სკოლას აქვს მზაობა და ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას. მას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი - რესურს ოთახი და ჰყავს შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლას ჰყავს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

ისგ ჯგუფის ოქმები;

ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის რეგულაციები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.
2. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.
3. როგორც ზემოთ აღინიშნა, დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება სკოლას არ აქვს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- ***გთხოვთ, ასახოთ შეფასება.***

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა* მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები, ასევე კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებისან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი

კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.

წარმოდგენილი დოკუმენტისა და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. შესაბამისად, 2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავს მოსწავლეთა ინტერესის სფეროს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირების შესაბამისად, სკოლა გეგმავს სასკოლო პროექტებს, რომლებიც თანხვედრაში იქნება სკოლის მისიასა და ხედვასთან. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს წრეები, განხორციელებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნულიდან გამომდინარე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. *კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან კათედრები და ადმინისტრაცია.* მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი თანამშრომლობდნენ სხვა საგნების მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას იყენებდნენ კურიკულუმის შემუშავებისას. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის პრაქტიკა დასტურდება აგრეთვე განხორციელებული ინტეგრირებული პროექტებიდან, რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (3) ინიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ისინი განიხილება კათედრებზე. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმი messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან. სამომავლოდ, სკოლაში დაგეგმილია ხელმისაწვდომობისა და გაზიარებისათვის გამოყენებული იქნას სკოლის ვებ-გვერდი.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
ინტერვიუები მასწავლებელებთან;
ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალები;
სკოლის სოციალური სივრცე;
თვითშეფასების ფორმა.

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყველა საგანში წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, სკოლის მიერ შემუშავებული I – VI კლასების, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის

დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები - რომელთა შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების , მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დავალებების შერჩევა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და მიიღონ სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებელობები. კომპლექსური დავალებების იდეების გაცნობამ და ერთგვარმა საპრეზენტაციო განხილვამ ცხადად წარმოაჩინა პედაგოგთა რეალური ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კათედრისთვის ცხადია, რომ სასწავლო გეგმამ, საგნობრივმა კურიკულუმმა უნდა შეძლოს მოსწავლის საბაზისო ინტერესებისა და მისწრაფებების აქტუალიზაცია. პედაგოგთა მხრიდან კონსტრუქტივიზმის, როგორც სასწავლო პარადიგმის გააზრება და პრაქტიკასთან შესაბამისობა, როგორც თავად აღნიშნავენ სკოლის სარეფორმო პროცესში ჩართვამ განაპირობა. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რას ნიშნავს საფეხურის შედეგებზე, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირება და მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზისას მიღებული შედეგებისა და მონაცემების საფუძველზე ცდილობენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხრციელებასა და რეალიზებას.

უცხოურ ენებში წარმოდგენილ დაგეგმილ თემატურ ბლოკებში ყველგან არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა, შესაბამისად გამოკვეთილად არ ჩანს, თუ როგორ ხდება მუშაობა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული სახელმძღვანელობით, გასაგები ხდება, რომ კომპლექსური დავალებაც გამომდინარეობს ერთი მეორესგან. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებლებთა გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას, სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადება და საკუთარი ნაშრომის პრეზენტაციას. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ საგნები ისწავლება სიღრმისეულად, სასწავლო მასალა მოსწავლეს მიეწოდება ეტაპობრივად, ხდება ახალი საკითხების, ძირითადი კონტექსტ-მაგალითების, სამიზნე ცნებების / ქვეცნებების, საფუძვლიანად შესწავლა და სხვადასხვა კონტექსტებში განხილვა, ნათალდ ჩანს საგანთაშორისი კავშირები, წარმოდგენილია აგრეთვე სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის, დავალებების მიზანი, საჭიროება, კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის. კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებების და ქვეცნებების სახით. ამ მიზნების მიღწევის საშუალებად სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც პროდუქტის შესაქმნელად მოსწავლისგან მოითხოვს - თანამშრომლობას კლასელებთან (ჯგუფური მუშაობისას) და მასწავლებელთან, პროდუქტის შექმნისას

იაზროვნოს კრიტიკულად და შემოქმედებითად, დასახოს გეგმა, გააკეთოს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმში მოცემულია ასევე დამატებითი რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საჭირო ინსტრუმენტები, რაც მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვისაა საჭირო. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა). ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის კათედრამ მოაწყო სასკოლო ფესტივალი, სასკოლო გამოფენა, დაამზადა ბუკლეტი, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლის შემოქმედებით განვითარებას. ასევე, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას, რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა კი გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომის განხორციელების გამოცდილება. მიხედავად იმისა, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე, მასწავლებლებს აქვთ მზაობა მოსწავლეებს რესურსები და სასწავლო მასალა შესთავაზონ მათი შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. საჭიროების შემთხვევაში კი შესთავაზონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოახდინონ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მოცემული კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მოსწავლის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესთავაზონ მოსწავლეებს საბოლოო პროდუქტის წარმოდგენის საშუალება (პრეზენტაცია, კომიქსი, სიმღერა და სხვა). აღსანიშნავია, რომ სკოლის ლიდერ მასწავლებლებს გავლილი აქვთ „USAID"-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით და იყენებენ https://chemiskola.emis.ge/ -ზე განთავსებულ დიფერენცირებული და ინკლუზიური განათლებისთვის განსაზღვრულ სასწავლო მასალებს, ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და აკადემიურ შესაძლებლობებს და ამის შესაბამისად გეგმავენ და ახორციელებენ სასწავლო პროცესს. პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შემლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. მიხედავად იმისა, რომ უცხოური ენების კურიკულუმში დიფერცირებული სწავლების პრინციპები გამოკვეთლად არ არის ასახული, მასში კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ მოცემული კონტექსტ მაგალითები ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და შესაბამისად 2.1.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებით საფეხურზე, I-V (პირველი სემესტრი), შეფასება განმავითარებელია, რაც ითვალისწინებს როგორც წერილობით ისე ზეპირ კომენტარს. . წარმოდგენილ კურიკულუმებს თან ახლავს შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია ძირითადად მოსწავლის განვითარებაზე, სწავლა - სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე, მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. ინტერვიუს შედეგებიდან იკვეთება მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების (სქემები, ცხრილები,

ბარათები და სხვა) შექმნისა და გამოყენების. ამასთან შეფასების კრიტერიუმებით შესაძლებელია შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინარე ცოდნა და წარმოდგენები და გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად ინდიკატორი - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლამ დამატებით წარმოადგინა შეფასების რუბრიკები კომპიუტერული ტექნოლოგიებში. იმის გათვალისწინებით, რომ ისტ-ის მასწავლებლები იმავდროულად არიან ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ ამ საგნებში შეფასების რუბრიკების შექმნისა და გამოყენების გამოცდილება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებშიც წარმატებით მოხდება შეფასების რუბრიკების შექმნა -გამოყენება. ასევე ესთეტიუკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმში არ იყო წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი ნიმუშები, თუმცა გასაუბრების დროს მასწავლებელმა აღწერა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ესგ-თი განსაზღვრული ინდიკატორებით, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, როგორიცაა: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, შუქნიშანი, ავტოსადგომი და ა. შ. ამ მიმართულებით ლიდერი მასწავლებლები მონაწილეობდნენ „USAID“-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში. მასწავლებლები სამომავლოდ შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების უფრო სრულყოფილ და გამართულ რუბრიკებს.

შესაბამისად წარმოდგენილი რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების შექმნისას გაითვალისწინეს სწავლა - სწავლების პროცესში არსებული საუკეთესო გამოცდილება. რის საფუძველზეც დგება მომდევნო წლის კურიკულუმი. ქოუჩთან ერთად მოხდა წინა სასწავლო წელს შექმნილი კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული დავალებების მოდიფიცირება და გათვალისწინებულ იქნა წარმატებული გამოცდილებები. კათედრაზე ხდება შესრულებული კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენა. ასევე აჯამებენ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიურების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, წარმატებული გამოცდილების საფუძველზე იცვლება და იხვეწება სასწავლო გეგმა. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს. ამ ეტაპზე, კურიკულუმში კომპლექსური დავალებების იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისიწნებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო;
სკოლის თვითშეფასების ფორმა
შეფასების რუბრიკები
კომპლექსური დავალების ნიმუში მუსიკაში
კათედრის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რესურსები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და საარზოვნო უნარების განვითარებისკენ. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების შემოქმედებით ასპექტებზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ გარკვეულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. კურიკულუმები შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელობის მიხედვით (ძირითად რესურსს წარმოადგენს), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება გათვალისწინებულია და დაკავშირებულია იმ გამოწვევებთან, რასაც მას კომპლექსური დავალების პირობა უყენებს. კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობა აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და გარკვეული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. „მე და საზოგადოების“ მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, რომ შემდეგი სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესი დაგეგმონ და განახორციელონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელთა ნაწილიც ასახულია უკვე „მე და საზოგადოების“ კურიკულუმის ჩარჩოებში, რაც ასევე, გულისხმობს და მოითხოვს პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმაანთლებლო პრინციპებზე დაფუძნებით აქტივობების დაგეგმვა/განხორციელებას, აღსანიშნავია ასევე მაგალითები შედარებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მაგალითად VI კლასის კომპლექსური დავალების იდეა ინგლისურ ენაში - „მოსწავლის ცხოვრება უცხოეთსა და საქართველოში“, დავალების ფარგლებში ბმულის სახით მოცემული კონტექსტ მაგალითები მოსწავლეს უბიძგებს შემოქმედებითი აქტიურობისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათ შემოქმედებით ჩართულობას. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება. საგნის კურუკულუმის შესწავლის დროს იდეა/კონტექსტ მაგალითების ველში ხშირად გვხდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა ,,დაეხმარე რწყილს, დახატე გეომეტრიული ფიგურა“, რაც ცალსახად გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოსწავლეები არიან ჩართული შემოქმედებითი პროცესებში. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. ამისათვის, ისინი იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგალითად, „ვარდების სათბური“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ქალაქის ინტერნეტიზაცია“, „ტანგრამი“ და სხვა, ეყრდნობიან მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნანახ ფილმებს, ნასწავლ ტექსტებს, უფროსების ნაამბობს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელებთან გასაუბრებრების შედეგად დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ***ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით*** **2.2.1(2) ინდიკატორი**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას და *აღნიშნული* გათვალისწინებულია კურიკულუმებში. ინტერვიუს დროს მასწავლებელების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევენ მიზნის შესაბამის *აქტივობებს. ამასთან,* მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელიშეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. დავალების დასრულების შემდეგ კი ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (მოსწავლის შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები,) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა აყალიბებს ხედვას სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. მასწავლებლები თვლიან, რომ მეტაკოგნიტური უნარის განვითარება აუცილებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და მისი აკადემიური ცოდნის დონის ასამაღლებლად. სახელმწიფო ენის პედაგოგები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე, რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს (გასასვლელი ბარათი, მოსწავლის რეფლექსია, და სხვა). ისინი ცდილობენ დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს სწავლის პროცესის სოციო-ემოციურად მართვა.

სკოლასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უფრო მეტად უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროგრამებში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებზე, მოსწავლეთა

ნამუშევრების ანალიზზე. ჩანს, რომ სკოლა და საგნობრივი კათედრები გამოთქვამენ მზაობას მომავალი სასწავლო წელი დაიგეგმოს ეფექტური და ორიენტირებული მეტაგოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და შესაბამისად 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. მაგალითად: V კლასის კომპლექსური დავალება რუსულ ენაში - „ჩემი საყვარელი წელიწადის დრო“, დავალების ფარგლებში მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება დეკლარატიული ცოდნის გამოყენება (დაუფლებული ენობრივი ნიშნებისა და ტექსტური მახასიათებლების), პირობისეულად გამოყენება. სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე და შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურულუმის მიხედვით სწავლა-სწავლების პროცესში ხდება ცონდათა ურთერთდაკავშირება. დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია თემატურად, სასწავლო პროცესში გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელი, რაც მიუთითებს იმას, რომ უზრუნველყოფილია ცოდნის ორგანიზება და ურთერთდაკავშირება. მაგალითად, VI კლასის კომპლექსური დავალება ინგლისურ ენაში - კედლის გაზეთი „ძველი კულტურის ხალხთა ყოფა“. დავალების შესასრულებლად, მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა, გარდა ამისა საგნის ჭირლში, ის აერთიანებს უკვე დაუფლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს უცხოური ენის მიმართულებით. მათ გამოკვეთეს რამდენიმე პროექტი.

ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით მათემატიკის მასწავლებლებიც გეგმავენ

და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სასურველი იყო საგანში მათემატიკა უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირების გამოცდილება (მათემატიკა და ხელოვნება საგნებს შორის) .

წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კომპლექსური დავალების ფარგლებში იფარება ყველა სამიზნე ცნება, ხოლო საფეხურის ფარგლებში ყველა ქვეცნება, რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასთან, ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (I -VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. ინტერვიუს დროს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ისაუბრეს იმის შესახებ , რომ მოსწავლეები ასრულებდნენ მასწავლებლის მიერ მითითებული რესურსიდან დავალებებს, რომლებშიც თავისთავად ხდებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო მეტად ორგანიზებულად მოახდენენ კომპლექსური დავალებების პირობების ჩამოყალიბებას, მოსწავლეებისა საჭიროებებზე მორგებას და ასევე სხვა კომპლექსური დავალებების მოსწავლეებზე ადაპტირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შეფასებია და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების გზით, რის გამოც 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, დაგეგმილ და განორციელებულ აქტივობებში, სხვადასხვა პროექტებში, კონტექსტმაგალითებსა და თემატური ერთეულებში, ჩანს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია და შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას

მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში შერჩულია ისეთი საკითხები და თემები, როგორიცაა „ჩემი საყვარელი ზღაპრის გმირები“, „ჩემი კლასი“, „მისალოცი ბარათები“ და ა.შ., რაც ნიშნავს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრები, რომელშიც განხილულია ისეთი თემები, როგორიცაა: „კიბერუსაფრთხოება“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „ბულინგის პრევენცია“- მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტები განხორციელებულია სხვა საგნის მასწავლებლების მიერ, მათში ჩანს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში სხვადასხვა პროექტი. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად , 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. ესთეტიკური აღზრდის კათედრაში შემავალი საგნების კურიკულუმის ჩარჩოსა და თვითშეფასებაში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარება: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების წინაპირობას. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას მოსწავლეთა მიერ სამიზნე ცნებების ფლობის დონის განსასაზღვრად. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან და სამომავლოდ თავად ჩაერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შედგენაში. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ კათედრები შეიმუშავებენ და დახვეწენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და შეძლებისდაგვარად გააანალიზებენ მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური). ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. გაკვეთილებზე აქტიურად და მეტი სიხშირით იყენებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების *მხარდაჭერაზე, შესაბამისად* 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ზოგადი სქემები მეტყველებს შეფასების ვალიდურობაზე, შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს, ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. „მე და საზოგადოების“ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები დავალებაშია ჩაშენებული, რაც მის გამჭვირვალობასა და სანდოობას ადასტურებს. სკოლამ წარმოადგინა, ასევე, „ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებზე დაყრდნობით, რაც შეფასების ვალიდურობას ადასტურებს. სამომავლოდ მნიშვნელოვანია „ჩვენი საქართველოს“ საგნის ფარგლებშიც შემუშავდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილია შეფასება დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე. ამასთან, კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები,რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. მათემატიკი საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს ინტერვიუს დროს ეთხოვათ დაეხასიათებინათ შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების სისტემა, მათ სწორად დაახასიათეს კრიტერიუმები და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს , მაგალითად განმავითარებელი შეფასების დროს, მასწავლებლის პასუხი იყო ადეკვატური. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძვნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ნიმუში განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე მხოლოდ დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი *შეფასების სისტემა, რის გამოც* 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. თავის მხრივ ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს: შერჩევის მექანიზმს, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს, ვერიფიკაციის განმახორციელებელ პირებსა და ვერიფიკაციის პროცედურას. განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციას უხელმძღვანელებს სკოლის დირექტორი. მანვე უნდა უზრუნველყოს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის ვერიფიკაცია. სკოლის დირექტორმა ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს უნდა შეადგინოს მომავალი სასწავლო წლის ვერიფიკაციის გეგმა. შეფასების ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: პროცესზე დაკვირვება, შედეგის შეფასება და გამოკითხვა. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად სიახლეა სკოლაში და დაგეგმილია ახალი სასწავლო წლიდან. თუმცა, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით (2022-2023 სასწავლო

წელი) განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. კომპლექსური დავალებების ნიმუშები, შეფასების ინსტრუმენტები და მათი რეფლექსია ინტერვიურებისას, მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლები მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზისას და შეფასებისას მიღებულ გამოცდილებას ასახავს შეფასების ვერიფიკაციის მეთოდების შემუშავებისას. მათემატიკის კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის, შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთხელ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. წარმოდგენილია კათედრების სხდომების ოქმები, განხილული საკითხები მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

ამდენად, სკოლაში დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6……სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები. ხდება ელექტრონული ჟურნლის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული. ამ ეტაპისთვის სამი წლის ვადით უზრუნველყოფს ისეთი ტიპის მასალების შენახვას, როგორიცაა მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები, პროექტები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, ხოლო 4 წლის ვადით ინახავენ ინახავენ მოსწავლეთა წლიური განმავითარებელი შეფასების კომენტარებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
მოსწავლეთა პირადი საქმეები;
მასწავლებელთა ინტერვიუები;
კათედების ოქმები;
შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;

თვითშეფასების ფორმა;
ხარისხის უზრუნველყობის დოკუმენტი;
ვერიფიკაციის მექანიზმი;
კომპლექსური დავალებების ამსახველი მასალები;
შეფასების რუბრიკები;
საგნობრივი კურიკულუმები;
სოლო ტაქსონომია;
კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიასა და ხედვაში აისახება მოსწავლის მიმართ მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, გარდა ამისა ეს მიმღებლობა გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სკოლა მოსწავლეებს ასარჩევად სთავაზობს მეორე უცხოურ ენას: რუსულსა და გერმანულს, ამ ეტაპისთვის არჩეულია რუსული. სასკოლო დღის რეჟიმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესვენების დრო გაკვეთილებს შორის (შესვენებების ხანგრძლივობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ხანგრძლივობის შესაბამისია). სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში (დაწყებით საფეხურზე) გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურება.ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არიან თანამშორმლობაზე ორიენტირებულები. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ კათედრები ჩართული არიან სკოლის სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრაში. კურიკულუმების შემუშავებაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. კათედრებს შორის კი არის კოლეგიალური ურთიერთდამოკიდებულება, რაც სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობებისა და ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. ამასთან, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთათვის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალის ნაწილი გადმოგზავნილია დოკუმენტების სახით. სკოლას შექმნილი აქვს საზიარო სივრცეები კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისათვის, როგორც მოსწავლეების ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის-რაც მოსწავლეთა ინტერესების და მათზე ზრუნვის დამადასტურებელი ერთ-ერთი მაგალითია. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების

პირობის სრულყოფა. შესაბამისად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.
წარმოდგენილი მასალები და მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კათედრები აცნობიერებენ კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას სწავლა/სწავლების პროცესში. პედაგოგები თვლიან, რომ სასაწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. მათი თქმით, მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირპროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას შეეცდებიან შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. შესაბამისია მოსწავლის მიღწეული შედეგიც. მოსწავლეები თავს გრძნობენ თვითრეალიზებულად და სკოლის ორგანულ ნაწილად. ეს აისახება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. მაგალითად, მეორე ენის, რუსულის მიმართულებით, - „ წარმოიდგინეთ, ახალი ჩასული ხართ საზაფხულო ბანაკში და გსურთ გაიცნოთ თქვენი თანატოლები. დაიყავით წყვილებად და გამართეთ დიალოგი „დაახასიათე შენი მეგობარი“, აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლე საკუთარ ინტერესებს, საკუთარ გამოცდილებას უკავშირდება, მისი მზადება ამ დავალების შესასრულებლად კი (ეტაპების გავლისას), მხარდაჭერილია მასწავლებლის მხრიდან. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მოსწავლეების შეფასება დაწყებით საფეხურზე ხდება განმავითარებელი შეფასებით, სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას სისტემატიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს.
ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლები სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრებზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი“, რომლის ფარგლებში კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი გამოწვევების შესახებ, აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. ყველაფერი ეს მტკიცდება კათედრის სხდომის ოქმებიდან, საერთო განხორციელებული პროექტებით. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილის პროექტი, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი

კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმაში, ასევე აღნიშნულია, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობის კულტურა მასწავლებლებს შორის: მუდამ ხდება გამოცდილების გაზიარება, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობითი ურთიერთობების ხელშეწყობა. საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორციელება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. კათედრების მუშაობის დებულებაში განსაზღვრულია მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ფორმები და მნიშვნელობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს გაკვეთილებზე კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, შესაბამისად 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლუბო ღონისძიებებში. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმები, საერთო განხორციელებული პროექტები, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეებიც ინტერესით არიან ჩართულები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ანგარიში;

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის მუშაობის დებულება;

განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები;

კათედრის სხდომის ოქმები;

სამუშაო შეხვედრის ოქმები;

ინტეგრირებული გაკვეთილების პროექტები;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა* *და* *განვითარების მეთოდოლოგიით* *გათვალისწინებულია* *სასკოლო* *კურიკულუმის* *დანერგვის* *პროცესის* *მონიტორინგი* *და* *შეფასება.* *კერძოდ:* *რამდენად* *მიმდინარეობს* *პროცესები* *დაგეგმილი* *ჩარჩოს* *ფარგლებში* *(მონიტორინგი)* *და* *რამდენად* *მოაქვს* *დაგეგმილ* *აქტივობებს* *სასურველი* *შედეგი* *(შეფასება).* *რაც* *შეეხება* *კურიკულუმის* *დანერგვის* *მონიტორინგს,* *იგი* *სასწავლო* *პროცესის* *შემადგენელი* *ნაწილია* *და* *ითვალისწინებს* *კათედრის* *წევრებისა* *და* *დირექციის* *ინტენსიურ* *თანამშრომლობას.* *კვლევა* *და* შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

ბ)სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

სკოლას სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნული აქვს, რომ მონიტორინგი ხორციელდება მასწავლებელთა რეფლექსური შეხვედრებით, რის საფუძველზეც კეთდება SWOT- ანალიზი და მომზადებული ანგარიშები დირექციას წარედგინება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პროცესი ძირითად შემთხვევებში ზეპირსიტყვიერად ხდება. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგის მიზანია გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლა პერიოდულად მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას და ამ მიზნით სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. ამასთან სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა მუდმივად იკრიბება და აანალიზებს განვლილ სამუშაოებს, მაგალითად მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავს სხვადასხვა აქტივობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარეობს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლის შეფასების პროცესი კი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების

იდენტიფიცირება. წინარე გამოცდილებიდან შეიძლება მოვიყვანოთ მტკიცებულებად გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ,,კრიტიკული მეგობარი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონოტორინგის მიმართულებებე შორისაა სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). კათედრა და ზოგადად სკოლა ამ ინდიკატორთან მიმართებით თვითკრიტიკულია, რეალურად აცნობიერებს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ამიტომაც ცდილობს სამუშაო შეხვედრებზე გაანალიზოს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემატიკა. განიხილავს კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გაუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ურთიერთთანამშრომლობის, ამ კუთხით შეძენილი გამოცდილებისა და პედაგოგიკურ პრაქტიკის გამოყენების გზით. კათედრის წევრებს შორის იკვეთება თანამშრომლობითი ურთიერთობის მაღალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება საგნობრივ კათედრებსა და სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს მიღწვები, ასევე გამოავლინოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის მონიტორინგისას, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა კვლევას წარმათავს შემდეგი სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დაიგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზის გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი მოემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას, ე. წ. SWOT ანალიზის გაკეთებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტის შექმნა. მასწავლებლები, პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის, სკოლას აქვს მზაობა შექმნას შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარება კურიკულუმის წარმატებით განხორციელებაში, მორიტორინგსა და შეფასებაში. თუმცა, სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნულია, რომ პერიოდულად მასწავლებლები აწყობენ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც თავიანთი სასწავლო პროცესის ერთგვარ რეფლექსის ახდენენ, განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და კოლეგებისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით გეგმავენ ინტერვენციებს, რაც ადასტურებს, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების ფორმა;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი;

დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;

მასწავლებელთა ანგარიშები;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი;
შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარმოადგენენ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს უკუკავშირის მისაღებად. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და

მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია.

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას, შეგროვებული ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლონ მიმოხილვა და ანალიზი.აღნიშნული მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ კითხვარების სამუშაო ვერსია, რომელსაც იყენებს.

სასურველი იქნება თუ სამომავლოდ სკოლის ციფრული განვითარების მიმართულებით სკოლას სასკოლო საზოგადოებასთან ექნება ონლაინ კომუნიკაცია, (მაგ. ინფორმაციის მოძიება, შეგროვება, კითხვარები, გამოკითხვა) რის შედეგადაც მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად. მნიშვნელოვანია ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, კერძოდ საგანში „ჩვენი საქართველო“ იმუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დამუშავებაზე, ასევე, საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას შედეგების აღწერის ტაქსონომია.

შესაბამისად **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შეფასება ხდება სხვადასხვა მეთოდების, მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გამოყენებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება გარკვეულწილად ჰოლისტურ ხასიათს ატარებს, რადგან ეს შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის უნარების შეფასებისკენ. მაგალითად, „საკლასო კვლევის“ შეფასების რუბრიკა, რომელიც ბუნებრივია მოსწავლის ჩვევით უნარებს აფასებს, ასევე გაკვეთილზე ჩართულობის რუბრიკა, რომელიც მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობას აფასებს, „თავიდან-მერე-ბოლოს“, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის შეფასებასა და თავისივე სასწავლო პროცესის აგებაში. ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არიან კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, ადასტურებენ, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური

დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, რაზედაც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. სკოლამ გამოთქვა მზაობა შექმნას შესაბამისი დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ასევე გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს (დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, დისკუსიის შეფასებები). სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. მასწავლებლები თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ითვალისწინებენ კურიკულუმების შედეგებს და ახდენენ გადამუშავებული ვერსიების შემუშავებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) უკუკავშირს.

შესაბამისად **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლები აქტიურ კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება განპირობებული იყოს მისი ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობით. ასევე ეთნიკური წარმომავლობით, ღირებულებებით, პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით. მასწავლებელებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ხდება მოსწავლეების ინტერესების სფეროს გათვალისწინება, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით. დაკვირვებები, ინტერვიუები იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლეთა შეფასებისას გაითვალისწინონ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის პოზიტიური გარემოს

შექმნისა და რესურსების ადაპტირებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ხორციელდება.

***შესაბამისად* 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ანგარიში;
საგნობრივი კურიკულუმი (უცხოური ენა);
შეფასების რუბრიკები;
მასწავლებელებთან ინტერვიუები;
კომპლექსური დავალების ნიმუშები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
საგნობრივი კურიკულუმები (ესთეტიკური აღზრდა)
კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები;
მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება
გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად ახორციელებს კურიკულუმის დანერგვას, სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. თუმცა, მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, და ა. შ, ასევე მასწავლებლების ინტერვიუები ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ისინი ახორციელებენ საგნობრივი გეგმების-კურიკულუმების ანალიზს, შეფასებებს და ცვლილებების შეტანას. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, ასევე აქვთ მზაობა გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, გაანალიზონ სუსტი და ძლიერი მხარეები, შექმნან მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ. სკოლას გაცნობიერებული აქვს რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანად დანერგვისთვის განახორციელოს სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა, აკადემიური პოტენციალის და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მათემატიკის კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები და ა. შ. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, ასევე აქვთ მზაობა გაითვალისწინონ წინა გამოცდილება, გაანალიზონ სუსტი და ძლიერი მხარეები , შექმნან მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ .

შესაბამისად **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიას სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დროის სიმცირის გამო მათ ვერ მოახერხეს სრულყოფილად შეექმნათ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. აღინიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე მოახდენენ მის რედაქტირებას, ხოლო მორიტორინგისა და შეფასების შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის გადამუშავების დროს.

შესაბამისად **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;
სკოლის თვითშეფასების ფორმა;
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა* მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი

კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. შესაბამისად, 2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირების შესაბამისად, სკოლა გეგმავს სასკოლო პროექტებს, რომლებიც თანხვედრაში იქნება სკოლის მისიასა და ხედვასთან. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს წრეები, განხორციელებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნულიდან გამომდინარე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. *კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან კათედრები და ადმინისტრაცია.* მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი თანამშრომლობდნენ სხვა საგნების მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას იყენებდნენ კურიკულუმის შემუშავებისას. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის პრაქტიკა დასტურდება აგრეთვე განხორციელებული ინტეგრირებული პროექტებიდან, რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმი messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან და სკოლის სოციალურ ქსელში. სამომავლოდ, სკოლაში დაგეგმილია ხელმისაწვდომობისა და გაზიარებისათვის გამოყენებული იქნას სკოლის ვებ-გვერდი.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
ინტერვიუები მასწავლებელებთან;
ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალები;
სკოლის სოციალური სივრცე;

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე, ყველა საგანში წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, სკოლის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები - რომელთა შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები

იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას. აღნიშნული კურიკულუმები ჯერ კიდევ დაგეგმვის პროცესშია, ზოგიერთ საგანში სრულყოფილად არ არის მოცემული ყველა თემის შესაბამისი კომპლექსური დავალება, თუმცა, როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა - მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით განხორციელდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ დრომდე ისინი აქტიურად ნერგავდნენ სასწავლო პროცესში კომპლექსური ტიპის დავალებებს. აღნიშნული ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას გულისხმობს, რაც მოსწავლეს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ამყოფებს, შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ინტერესებისამებრ შეარჩიოს შესასრულებელი დავალების ფორმატიც, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას, სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადება და საკუთარი ნაშრომის პრეზენტაცია. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი. უცხოურ ენებში წარმოდგენილ დაგეგმილ თემატურ ბლოკებში ყველგან არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა, შესაბამისად გამოკვეთილად არ ჩანს, თუ როგორ ხდება მუშაობა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული სახელმძღვანელობით, გასაგები ხდება, რომ კომპლექსური დავალებაც გამომდინარეობს ერთი მეორესგან. კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ, სწავლის პროცესს განიხილავს, როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელშიც მთავარი წარმმართველი თავად მოსწავლეა.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კათედრების მიერ, მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური უნარების (თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება) და მაკროცნების (კვლევა) განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს დაგეგმილი აქვთ, სხვადასხვა თემის ფარგლებში, ქოუჩთან ერთად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების სრულყოფა და შექმნა. სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, საბაზო საფეხურისთვის შერჩეული თემები, სავალდებულო ლიტერატურა, კომპლექსური დავალებები, სკოლაში დანერგილი

და შემუშავებული არაფორმალური განათლების სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში, ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებაში.
პირველი (ინგლისური) და მეორე (რუსული) უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები: თემა, სამიზნე ცნება / ქვეცნებები, ქვესაკითხები, ძირითადი საკითხი, ძირითადი კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავლების პირობა, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის.
როგორც "მოქალაქეობის", ასევე, "გეოგრაფიის" და „ისტორიის" საგნების ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული საკითხების საფუძველზე სწორედ გრძელვადიან მიზნებთან - სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაიგეგმება და განხორციელდება. შემდეგი სასწავლო წლიდან იგეგმება კომპლექსური დავალებების დანერგვა ინტენსიურად. მნიშვნელოვანია, რომ სამივე საგნის ფარგლებში ჩარჩოები სტანდარტის პრინციპებზე დაფუძნებით არის დამუშავებული - თითოეულ სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლი მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ავითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად, სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია და მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს, მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას. ასევე, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას, რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა კი გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ამ მიზნების მიღწევის საშუალებად სკოლას საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც პროდუქტის შესაქმნელად მოსწავლისგან მოითხოვს - თანამშრომლობას კლასელებთან (ჯგუფური მუშაობისას) და მასწავლებელთან, პროდუქტის შექმნისას იაზროვნოს კრიტიკულად და შემოქმედებითად, დასახოს გეგმა, გააკეთოს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. კურიკულუმში მოცემულია ასევე დამატებითი რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საჭირო ინსტრუმენტები, რაც მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვისაა საჭირო. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა).

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; საბაზო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის გამოცდილება. კურიკულუმებთან ერთად სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლის მხარდაჭერა. დიფერენცირების საშუალებას იძლევა კურიკულუმში მოცემული სასწავლო რესურსები. ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი (კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა) იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეს რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობენ მისი შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ ისინი აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს და მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის ლიდერ მასწავლებლებს გავლილი აქვთ „USAID"-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით. საბაზო საფეხურის კათედაც დაინტერესდა და იყენებს https://chemiskola.emis.ge/ -ზე განთავსებულ დიფერენცირებული და ინკლუზიური განათლებისთვის განსაზღვრულ სასწავლო მასალებს. კათედრა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და აკადემიურ შესაძლებლობებს და ამის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს. პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების არსი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (ვინ შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე), იდივიდუალური სასწავლო გეგმა - შემუშავების წესი, ვინ შეიძლება იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სსსმ მოსწავლის შეფასება. სკოლის დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ისგ ჯგუფი და წარმოდგენილია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის წესი. რაც შეეხება საბაზო საფეხურის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები გამოკვეთლად არ არის ასახული. თუმცა კურიკულუმში, კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და შესაბამისად 2.1.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია თემის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ნიმუში, სადაც მოცემული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს და საშუალებას იძლევა შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი. სახელმწიფო ენის კათედრას გააზრებული აქვს შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. კომპლექსური დავალების შეფასება ერთჯერადად განხორციელდა მისაღწევი სასწავლო შედეგების ტაქსონომიის გამოყენებით. ლიდერი მასწავლებლები მონაწილეობდნენ „USAID"-ის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში.

ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნილი ნიმუშები, თუმცა გასაუბრებისას მასწავლებელმა აღწერა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და

კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან.

„მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის“ შემთხვევაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საიდანაც ცხადი ხდება, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მცდელობა შეემუშავებინათ რუბრიკები სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე, თუმცა „მოქალაქეობის“ შემთხვევაში რუბრიკა ძალიან ზოგადია და არ კონკრეტდება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, „გეოგრაფიის“ შემთხვევაში კი არასრული ფორმით არის წარმოდგენილი(მხოლოდ ორი ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევის ინდიკატორია წარმოდგენილი), შესაბამისად, რუბრიკები დასახვეწი და განსავითარებელია. „ისტორიის“ შემთხვევაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა არ არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. როგორც ინტერვიუში აღნიშნეს, მასწავლებლები ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების უფრო სრულყოფილ და გამართულ რუბრიკებს.

შესაბამისად წარმოდგენილი რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მიღებული უკუკავშირი და შემაჯამებელი დავალების ანალიზი. ქოუჩთან ერთად მოხდა წინა სასწავლო წელს შექმნილი კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული დავალებების მოდიფიცირება და გათვალისწინებული იქნა წარმატებული გამოცდილებები. კათედრაზე ხდება შესრულებული კომპლექსური დავალებების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენა. ასევე აჯამებენ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. კურიკულუმში კომპლექსური დავალებებში იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კი გაწერილია კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

ინკლუზიური განათლების პროგრამა
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
კომპლექსური დავალების ნიმუში;
კურიკულუმის ჩარჩო;
კათედრის ოქმი
შემაჯამაებლებლი დავალების ანალიზი.
ინკლუზიური განათლების განხორციელების მონიტორინგის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რესურსები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების შემოქმედებით ასპექტებზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ გარკვეულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. კურიკულუმები შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელობის მიხედვით (ძირითად რესურსს წარმოადგენს), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება გათვალისწინებულია და დაკავშირებულია იმ გამოწვევებთან, რასაც მას კომპლექსური დავალების პირობა უყენებს. კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობა აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და გარკვეული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. მაგალითად VIII კლასის კომპლექსური დავალების იდეა რუსულ ენაში - „ფოტო-კოლაჟის მეშვეობით შექმენი ასოციაციური რუკა საქართველოსა და რუსეთში არსებული დღესასწაულების შესახებ“. დავალების ფარგლებში ბმულის სახით მოცემული კონტექსტ მაგალითები მოსწავლეს უბიძგებს შემოქმედებითი აქტიურობისკენ. ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების გაცნობაც იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მოწოდებული კურუკულუმების ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა მიმართულება და სამიზნე ცნება. გამოიკვეთა მცირედი უზუსტობა, თუმცა გასაუბრებისას მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა შეიტანოს კორექტირება ახალი სასწავლო წლისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში დგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა, სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქმედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. ამისათვის, ისინი იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა

იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც თავად მოიაზრებს კონტრუქტივისტულ მიდგომას და ძველ გამოცდილებაზე ახლის დაშენების პრინციპს. უცხოური (პირველი და მეორე) ენის საგნობრივი კურიკულუმში ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, საბაზო საფეხურისთვის შერჩეული თემები, სავალდებულო ლიტერატურა, კომპლექსური ბუნების დავალებები, სკოლაში დანერგილი და შემუშავებული არაფორმალური განათლების სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში, ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებაში.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელებთან გასაუბრებრების შედეგად დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ***ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით*** **2.2.1(2) ინდიკატორი**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას და *აღნიშნული* გათვალისწინებულია კურიკულუმებში. ინტერვიუს დროს მასწავლებელების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევენ მიზნის შესაბამის *აქტივობებს. ამასთან,* მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. დავალების დასრულების შემდეგ კი ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (მოსწავლის შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები,) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა აყალიბებს ხედვას სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ როგორ შეიძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. სახელმწიფო ენის პედაგოგები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე, რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს (გასასვლელი ბარათი, მოსწავლის რეფლექსია, და სხვა).

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უფრო მეტად უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო

პროგრამებში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებზე, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი *კეთდება სწავლის სწავლაზე და შესაბამისად 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი, უცხოური ენის კურიკულუმების მიხედვით თითოეული თემიდან გამომდინარეობს კომპლექსური დავალება. მაგალითად, VIII კლასის კომპლექსური დავალება ინგლისურ ენაში - „ჩაატარე გამოკითხვა თქვენს თანატოლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ და შექმენი რესურსი (ppt ან პოსტერი), სადაც დიაგრამების სახით პროცენტულად აღწერ გამოკითხვის შედეგებს. წარმოადგინე ზეპირი პრეზენტაცია კლასის წინაშე “. დავალების ფარგლებში მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება დეკლარატიული ცოდნის გამოყენება (დაუფლებული ენობრივი ნიშნებისა და ტექსტური მახასიათებლების), პირობისეულად გამოყენება.

აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე და შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურულუმის მიხედვით სწავლა-სწავლება პროცესში ხდება ცონდათა ურთერთდაკავშირება. საბაზო საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია თემატურად, სასწავლო პროცესში გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელი, რაც მიუთითებს იმას, რომ უზრუნველყოფილია ცოდნის ორგანიზება და ურთერთდაკავშირება. მაგალითად, IX კლასის კომპლექსური დავალება რუსულ ენაში -წერილი თანატოლს - -საქართველოში განათლების სისტემის შესახებ და ისაუბრე მსგავსება განსხვავებებზე ორივე ქვეყანაში. დავალების შესასრულებლად, მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა, გარდა ამისა საგნის ჭრილში, ის აერთიანებს უკვე დაუფლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. მათ გამოკვეთეს რამდენიმე პროექტი. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი

სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით მათემატიკის მასწავლებლებიც გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სასურველი იყო საგანში მათემატიკა უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირების გამოცდილება (მათემატიკა და ხელოვნება საგნებს შორის, მათემატიკა და ფიზიკა საგნებს შორის) .

წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები;

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კომპლექსური დავალების ფარგლებში იფარება ყველა სამიზნე ცნება, ხოლო საფეხურის ფარგლებში ყველა ქვეცნება, რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასთან, ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო მეტად ორგანიზებულად მოახდენენ კომპლექსური დავალებების პირობების ჩამოყალიბებას, მოსწავლეებისა საჭიროებებზე მორგებას და ასევე სხვა კომპლექსური დავალებების მოსწავლეებზე ადაპტირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შეფასებია და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების გზით, რის გამოც 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებში, სხვადასხვა პროექტებში, კონტექსტმაგალითებსა და თემატური ერთეულებში, ჩანს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია და შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. ასევე, მასწავლებლები კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავებისას და დანერგვისას მოსწავლეთა ინტერესებს ითვალისწინებენ და შესაძლებლობას აძლევენ თავად აირჩიონ თუნდაც შესაქმნელი პროდუქტის ფორმატი, რაც მოსწავლეებს თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს და უწყობს ხელს მათ პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გააუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად , 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ კათედრები შეიმუშავებენ და დახვეწენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და შეძლებისდაგვარად გააანალიზებენ მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური). ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. გაკვეთილებზე აქტიურად და მეტი სიხშირით იყენებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. შეფასების სისტემა **ნაწილობრივ ო**რიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის შემთხვევაში“ წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ცხადი ხდება, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მცდელობა შეემუშავებინათ რუბრიკები სტანდარტით განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე, თუმცა „მოქალაქეობის“ შემთხვევაში რუბრიკა ძალიან ზოგადია და არ კონკრეტდება კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, „გეოგრაფიის“ შემთხვევაში კი არასრული ფორმით არის წარმოდგენილი(მხოლოდ ორი ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევის ინდიკატორია წარმოდგენილი), შესაბამისად, რუბრიკები დასახვეწი და განსავითარებელია. „ისტორიის“ შემთხვევაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, თუმცა არ არის წარმოდგენილი

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. **მნიშვნელოვანია, შემუშავდეს** განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მიდგომებს, **თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ამ ეტაპზე მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების *მხარდაჭერაზე, შესაბამისად* 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ზოგადი სქემები შეფასების ვალიდურობაზე, შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილია შეფასება დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. მათემატიკის საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს ინტერვიუს დროს ეთხოვათ დაეხასიათებინათ შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების სისტემა, მათ სწორად დაახასიათეს კრიტერიუმები და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს. აუცილებელია ყველა შეფასების რუბრიკა ეფუძნებოდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი *შეფასების სისტემა, რის გამოც* 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. თავის მხრივ ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს: შერჩევის მექანიზმს, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს, ვერიფიკაციის განმახორციელებელ პირებსა და ვერიფიკაციის პროცედურას. განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციას უხელმძღვანელებს სკოლის დირექტორი. მანვე უნდა უზრუნველყოს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის ვერიფიკაცია. სკოლის დირექტორმა ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს უნდა შეადგინოს მომავალი სასწავლო წლის ვერიფიკაციის გეგმა. შეფასების ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: პროცესზე დაკვირვება, შედეგის შეფასება და გამოკითხვა. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად

სიახლეა სკოლაში და დაგეგმილია ახალი სასწავლო წლიდან. თუმცა, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით (2022-2023 სასწავლო წელი) განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. კომპლექსური დავალებების ნიმუშები, შეფასების ინსტრუმენტები და მათი რეფლექსია ინტერვიურებისას, მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლები მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზისას და შეფასებისას მიღებულ გამოცდილებას ასახავს შეფასების ვერიფიკაციის მეთოდების შემუშავებისას. მათემატიკის კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. საბაზო საფეხურის კათედრაზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის, შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთხელ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. წარმოდგენილია კათედრების სხდომების ოქმები, განხილული საკითხები მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

ამდენად, სკოლაში დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნალის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული. ამ ეტაპისთვის სამი წლის ვადით უზრუნველყოფს ისეთი ტიპის მასალების შენახვას, როგორიცაა მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები, პროექტები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, ხოლო 4 წლის ვადით ინახავენ ინახავენ მოსწავლეთა წლიური განმავითარებელი შეფასების კომენტარებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
მოსწავლეთა პირადი საქმეები;
მასწავლებელთა ინტერვიუები;
კათედრების სხდომების ოქმები;

შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
თვითშეფასების ფორმა;
ხარისხის უზრუნველყობის დოკუმენტი;
ვერიფიკაციის მექანიზმი;
კომპლექსური დავალებების ამსახველი მასალები;
შეფასების რუბრიკები;
საგნობრივი კურიკულუმები;
სოლო ტაქსონომია;
კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიასა და ხედვაში აისახება მოსწავლის მიმართ მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, გარდა ამისა ეს მიმღებლობა გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სასკოლო დღის რეჟიმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესვენების დრო გაკვეთილებს შორის (შესვენებების ხანგრძლივობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ხანგრძლივობის შესაბამისია). სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში (საბაზო საფეხურზე) გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურება. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არიან თანამშორმლობაზე ორიენტირებულები. ასევე ჩანს, რომ კათედრები ჩართული არიან სკოლის სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასა და კურიკულუმების შემუშავებაში. კათედრებს შორის კი არის კოლეგიალური ურთიერთდამოკიდებულება, რაც სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში. ამასთან, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთათვის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალის ნაწილი გადმოგზავნილია დოკუმენტების სახით. სკოლას შექმნილი აქვს საზიარო სივრცეები კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისათვის, როგორც მოსწავლეების ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის-რაც მოსწავლეთა ინტერესების და მათზე ზრუნვის დამადასტურებელი ერთ-ერთი მაგალითია. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა. შესაბამისად, კომპლექსური

დავალების განხორციელებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი მასალები და მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კათედრები აცნობიერებენ კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას სწავლა/სწავლების პროცესში. პედაგოგები თვლიან, რომ სასაწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. მათი თქმით, მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირპროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ, პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას შეეცდებიან შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. შესაბამისია მოსწავლის მიღწეული შედეგიც. მოსწავლეები თავს გრძნობენ თვითრეალიზებულად და სკოლის ორგანულ ნაწილად. ეს აისახება საბაზო საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ, შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭიროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას სისტემატიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლები სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრებზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა „კრიტიკული მეგობარი“, რომლის ფარგლებში კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი გამოწვევების შესახებ, აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. ყველაფერი ეს მტკიცდება კათედრის სხდომის ოქმებიდან, საერთო განხორციელებული პროექტებით. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილის პროექტი, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმაში, ასევე აღნიშნულია, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობის კულტურა მასწავლებლებს შორის: მუდამ ხდება გამოცდილების გაზიარება, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობითი ურთიერთობების ხელშეწყობა. საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორცილება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. კათედრების მუშაობის დებულებაში განსაზღვრულია მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ფორმები და მნიშვნელობა. სკოლას

წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს გაკვეთილებზე კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, შესაბამისად 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლუბო ღონისძიებებში. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმები, საერთო განხორციელებული პროექტები, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეებიც ინტერესით არიან ჩართულები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი 2.2 კომპონენტთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია დაწესებულებას არ აქვს და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მის გამოყენებას. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება არაუმეტეს 12 თვის ვადაში გეგმავს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც დაწესებულება კომპონენტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ანგარიში;

საგნობრივი კურიკულუმები;

კათედრის მუშაობის დებულება;

განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები;

კათედრის სხდომის ოქმები;

სამუშაო შეხვედრის ოქმები;

ინტეგრირებული გაკვეთილების პროექტები;

კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი*

ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია და ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

ბ)სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

სკოლას სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნული აქვს, რომ მონიტორინგი ხორციელდება მასწავლებელთა რეფლექსური შეხვედრებით, რის საფუძველზეც კეთდება SWOT- ანალიზი და მომზადებული ანგარიშები დირექციას წარედგინება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პროცესი ძირითად შემთხვევებში ზეპირსიტყვიერად ხდება. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. ამასთან სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა მუდმივად იკრიბება და აანალიზებს განვლილ სამუშაოებს, მაგალითად მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავს სხვადასხვა აქტივობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარეობს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის

მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლის შეფასების პროცესი კი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება. წინარე გამოცდილებიდან შეიძლება მოვიყვანოთ მტკიცებულებად გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ,,კრიტიკული მეგობარი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონოტორინგის მიმართულებებე შორისაა სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). კათედრა და ზოგადად სკოლა ამ ინდიკატორთან მიმართებით თვითკრიტიკულია, რეალურად აცნობიერებს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ამიტომაც ცდილობს სამუშაო შეხვედრებზე გაანალიზოს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემატიკა. განიხილავს კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ურთიერთთანამშრომლობის, ამ კუთხით შეძენილი გამოცდილებისა და პედაგოგიკურ პრაქტიკის გამოყენების გზით. კათედრის წევრებს შორის იკვეთება თანამშრომლობითი ურთიერთობის მაღალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება საგნობრივ კათედრებსა და სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს მიღწევები, ასევე გამოავლინოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის მონიტორინგისას, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა კვლევას წარმართავს შემდეგი სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დაიგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზის გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი მოემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას, ე. წ. SWOT ანალიზის გაკეთებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტის შექმნა. მასწავლებლები, პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის, სკოლას აქვს მზაობა შექმნას შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარება კურიკულუმის წარმატებით განხორციელებაში, მორიტორინგსა და შეფასებაში. თუმცა, სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნულია, რომ პერიოდულად მასწავლებლები აწყობენ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც თავიანთი სასწავლო პროცესის ერთგვარ რეფლექსის ახდენენ, განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და კოლეგებისა და

ადმინისტრაციის მხარდაჭერით გეგმავენ ინტერვენციებს, რაც ადასტურებს, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების ფორმა;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;

დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;

მასწავლებელთა ანგარიშები;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი;
შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარმოადგენენ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს უკუკავშირის მისაღებად. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია.

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას, შეგროვებული ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლონ მიმოხილვა და ანალიზი.აღნიშნული მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ კითხვარების სამუშაო ვერსია, რომელსაც სამომავლოდ გამოიყენებს.

შესაბამისად **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შეფასება ხდება სხვადასხვა მეთოდების, მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გამოყენებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება გარკვეულწილად ჰოლისტურ ხასიათს ატარებს, რადგან ეს შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის უნარების შეფასებისკენ. მაგალითად, „საკლასო კვლევის“ შეფასების რუბრიკა, რომელიც ბუნებრივია მოსწავლის ჩვევით უნარებს აფასებს, ასევე გაკვეთილზე ჩართულობის რუბრიკა, რომელიც მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობას აფასებს, „თავიდან-მერე-ბოლოს“, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის შეფასებასა და თავისივე სასწავლო პროცესის აგებაში. ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. მიმდინარეობს სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა თანამშრომლობითი პროცესების გაღრმავების მიზნით. შეფასების პროცესში ჩართული არიან კათედრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებას, კათედრის წევრები მხარს უჭერენ და ახორციელებენ ჰოლისტურ მიდგომებს. მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, ადასტურებენ, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, რაზედაც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. სკოლამ გამოთქვა მზაობა შექმნას

შესაბამისი დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ასევე გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს (დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, დისკუსიის შეფასებები). სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. მასწავლებლები თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ითვალისწინებენ კურიკულუმების შედეგებს და ახდენენ გადამუშავებული ვერსიების შემუშავებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) უკუკავშირს.

შესაბამისად **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლები აქტიურ კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება განპირობებული იყოს მისი ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობით, ღირებულებებით, პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით. მასწავლებელებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ხდება მოსწავლეების ინტერესების სფეროს გათვალისწინება, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით. დაკვირვებები, ინტერვიუები იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლეთა შეფასებისას გაითვალისწინონ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის პოზიტიური გარემოს შექმნისა და რესურსების ადაპტირებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ხორციელდება.

შესაბამისად **2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების ანგარიში;
საგნობრივი კურიკულუმი (უცხოური ენა);
შეფასების რუბრიკები;
მასწავლებელებთან ინტერვიუები;
კომპლექსური დავალების ნიმუშები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
საგნობრივი კურიკულუმები (ესთეტიკური აღზრდა)
მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება
გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად ახორციელებს კურიკულუმის დანერგვას, სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. თუმცა, მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, და ა. შ, ასევე მასწავლებლების ინტერვიუები ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ისინი ახორციელებენ საგნობრივი გეგმების-კურიკულუმების ანალიზს, შეფასებებს და ცვლილებების შეტანას. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, ასევე აქვთ მზაობა გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, გაანალიზონ სუსტი და ძლიერი მხარეები, შექმნან მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ. სკოლას გაცნობიერებული აქვს რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანად დანერგვისთვის განახორციელოს სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა, აკადემიური პოტენციალის და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მათემატიკის კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები და ა. შ.

შესაბამისად **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიას სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დროის სიმცირის გამო მათ ვერ მოახერხეს სრულყოფილად შეექმნათ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. აღინიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე მოახდენენ მის რედაქტირებას, ხოლო მორიტორინგისა და შეფასების შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის გადამუშავების დროს.

შესაბამისად **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;

მასწავლებლებთან ინტერვიუები;

სკოლის თვითშეფასების ფორმა;

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა* მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი

კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. შესაბამისად, 2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მშობლებისა და მოსწავლეების უკუკავშირების შესაბამისად, სკოლა გეგმავს სასკოლო პროექტებს, რომლებიც თანხვედრაში იქნება სკოლის მისიასა და ხედვასთან. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს წრეები, განხორციელებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნულიდან გამომდინარე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. *კერძოდ: კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან კათედრები და ადმინისტრაცია.* მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში ისინი თანამშრომლობდნენ სხვა საგნების მასწავლებლებთან და მიღებულ ინფორმაციას იყენებდნენ კურიკულუმის შემუშავებისას. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის პრაქტიკა დასტურდება აგრეთვე განხორციელებული ინტეგრირებული პროექტებიდან, რომლებშიც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი ხელმისაწვდომი და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ პრიორიტეტულ მიმართულებებს. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის კურიკულუმი messenjer ჩატების საშუალებით გაზიარებულია მშობლებთან და სკოლის სოციალურ ქსელში. სამომავლოდ, სკოლაში დაგეგმილია ხელმისაწვდომობისა და გაზიარებისათვის გამოყენებული იქნას სკოლის ვებ-გვერდი.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოეობის მიერ და შესაბამისად 2.1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
ინტერვიუები მასწავლებელებთან;
ინტეგრირებული გაკვეთილების ამსახველი მასალები;
სკოლის სოციალური სივრცე;

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის (X კლასი) კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ცხრილში მოცემულია შესაბამისი საგნის საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, საგნის საშუალო საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, თემების მიხედვით კი გამოყოფილია ძირითადი საკითხი (გრიფირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე გამოყოფილი

საკითხების კლასტერების საფუძველზე); შუალედური მიზნების სახით შერჩეულია კომპლექსური დავალებები განაპირობებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც მათი პიროვნული განვითარების აუცილებელი პირობაა.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, სკოლის მიერ შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, სადაც გაწერილია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები საფეხურის დონეზე, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). შუალედური მიზნების სახით კი წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები - რომელთა შესრულებისას მოსწავლეს სჭირდება სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის პიროვნული განვითარების საშუალებას, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების, მათ შორის მეტაკოგნიტური უნარების განვითარების გამომუშავებას. აღნიშნული კურიკულუმები ჯერ კიდევ დაგეგმვის პროცესშია, ზოგიერთ საგანში სრულყოფილად არ არის მოცემული ყველა თემის შესაბამისი კომპლექსური დავალება, თუმცა, როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა - მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით განხორციელდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი ყველა კლასის კომპლექსური დავალება გულისხმობს სასკოლო ფესტივალის ჩატარებას, სადაც მოსწავლე წარმოაჩენს შესწავლილ მასალას. ასევე კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადება და საკუთარი ნაშრომის პრეზენტაცია. წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

მოცემული კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი. საშუალო საფეხურზე, სკოლას გადმოგზავნილი აქვს მხოლოდ პირველი უცხოური ენის X კლასის კურიკულუმი. ამ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით, თემის ფარგლებში მუშავდება, სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლას შექმნილი აქვს საშუალო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმი.უცხოურ ენებში წარმოდგენილ დაგეგმილ თემატურ ბლოკებში ყველგან არ არის ჩაშენებული კომპლექსური დავალების პირობა, შესაბამისად გამოკვეთილად არ ჩანს, თუ როგორ ხდება მუშაობა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორე კომპლექსურ დავალებამდე. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული სახელმძღვანელობით, გასაგები ხდება, რომ კომპლექსური დავალებაც გამომდინარეობს ერთი მეორესგან.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კათედრების მიერ, მიზნის მისაღწევად შერჩეული კომპლექსური დავალებები და სასწავლო რესურსები იძლევა საშუალებას მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და მოხდეს სამიზნე ცნებების, ფუნქციური უნარების (თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება) და მაკროცნების (კვლევა) განვითარება. განმავითარებელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული განვითარებაზე ზრუნვა. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრებს დაგეგმილი აქვთ, სხვადასხვა თემის ფარგლებში, ქოუჩთან ერთად განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების

სრულყოფა და შექმნა. სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, საშაულო საფეხურისთვის შერჩეული თემები, სავალდებულო ლიტერატურა, კომპლექსური დავალებები, სკოლაში დანერგილი და შემუშავებული არაფორმალური განათლების სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში, ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებაში.

პირველი (ინგლისური) და მეორე (რუსული) უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები: თემა, სამიზნე ცნება / ქვეცნებები, ქვესაკითხები, ძირითადი საკითხი, ძირითადი კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავლების პირობა, მაგალითები შედარებისთვის და სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. საშუალო საფეხურის კურიკულუმები, უცხოურ ენაში კურიკულუმები მიემართება გლობალური ფუნქციური უნარებისკენ, რისი თვალსაჩინო მაგალითიც არის კურიკულუმის თემატური დაგეგმვა - არგუმენტირებული ესსე – საქართველოში გავრცელებულ ტენდენციას-სასკოლო ოთახში მობილურტელეფონის გამოყენებასთან დაკავშირებით. დავალების შესრულებისას მოსწავლემ უნდა აღწეროს აღნიშნული სიტუაცია, შეადაროს საქართველოში არსებული სიტუაცია საზღვარგარეთ არსებულ სიტუაციას, გამოხატოს საკუთარი პოზიცია, დაასაბუთოს ის.

როგორც “მოქალაქეობის”, ასევე, “გეოგრაფიის“, ,,საქართველოს ისტორიისა“ და „ისტორიის“ საგნების ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია, რომ სასწავლო პროცესი კონკრეტული საკითხების საფუძველზე სწორედ გრძელვადიან მიზნებთან - სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაიგეგმება და განხორციელდება. შემდეგი სასწავლო წლიდან იგეგმება კომპლექსური დავალებების დანერგვა ინტენსიურად. მნიშვნელოვანია, რომ სამივე საგნის ფარგლებში ჩარჩოები სტანდარტის პრინციპებზე დაფუძნებით არის დამუშავებული - თითოეულ სავალდებულო თემაში ყველა სამიზნე ცნება მუშავდება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ნასწავლი მასალის მაქსიმალურად თავისუფლად მათი შეხედულებისამებრ გამოყენების საშუალებას, რაც ზრდის და ავითარებს მათ შემოქმედებით უნარს. მაგალითად, სასკოლო ფესტივალი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის შემოქმედებითობის განსავითარებლად. ასევე სასკოლო გამოფენა, ბუკლეტის მომზადება- სადაც მოსწავლე თავისუფალია და მისი შეხედულებით ირჩევს სასურველ თამაშს, მისი შეხედულებისამებრ აგებს თემას და წარუდგენს აუდიტორიას. ასევე, კომპლექსური დავალება შიდა სასკოლო ფესტივალი მოიაზრებს ვიდეოების ყურებასა და განხილვას, რომელიც ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სასკოლო ლაშქრობის დაგეგმვა კი გულისხმობს ინფორმაციის მოძიებასა და გადარჩევას რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ამ მიზნების მიღწევის საშუალებად სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც პროდუქტის შესაქმნელად მოსწავლისგან მოითხოვს - თანამშრომლობას კლასელებთან (ჯგუფური მუშაობისას) და მასწავლებელთან, პროდუქტის შექმნისას იაზროვნოს კრიტიკულად და შემოქმედებითად, დასახოს გეგმა, გააკეთოს შესრულებული სამუშაოს რეფლექსია. ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ყველა საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ასევე გლობალურ ფუნქციურ უნარებსა (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) და მაკროცნებას (კვლევა).

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ 2.1.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; საშუალო საფეხურზე კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას

აქვს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის გამოცდილება. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებას სასწავლო პროცესში. კერძოდ, მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას, მოსწავლეთა მხარდაჭერას, ხოლო აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. სკოლას საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, თუმცა დიფერენცირების საშუალებას იძლევა კურიკულუმში მოცემული სასწავლო რესურსები. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეს რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობენ მისი შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მისი ჩართულობა სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , რომ ისინი აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს და მოსწავლეები თვითონ ირჩევენ დავალებების ვარიანტებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის ლიდერ მასწავლებლებს გავლილი აქვთ „USAID“-ის საგანმანათლებლო პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით. საშუალო საფეხურის კათედრაც დაინტერესდა და იყენებს https://chemiskola.emis.ge/ -ზე განთავსებულ დიფერენცირებული და ინკლუზიური განათლებისთვის განსაზღვრულ სასწავლო მასალებს. კათედრა ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის თავისებურებებს, ინტერესებს და აკადემიურ შესაძლებლობებს და ამის შესაბამისად გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს. სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალებების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება ერთი და იმავე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა (ესსე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი, კვლევა, რეფერატი ან სხვა). ამ ეტაპზე მასწავლებლებს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ. მასწავლებლები, ასევე, გეგმავენ რემედიაციული აქტივობების დანერგვასაც.

პედაგოგთა მოსაზრებით, აუცილებელია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შემლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. რაც შეეხება საშუალო საფეხურის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები გამოკვეთლად არ არის ასახული. თუმცა კურიკულუმში, კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, მოცემულია კონტექსტ მაგალითები, რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და შესაბამისად 2.1.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. სკოლაში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება. კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე . ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები შექმნის პროცესშია და სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი აქვს თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით შეფასების რუბრიკების შექმნა .წარმოდგენილ მასალებში მოცემულია თემის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე ნიმუში, სადაც მოცემული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს და საშუალებას იძლევა შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი. სახელმწიფო ენის კათედრას გააზრებული აქვს შეფასების

რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. კომპლექსური დავალების შეფასება ერთჯერადად განხორციელდა მისაღწევი სასწავლო შედეგების ტაქსონომიის გამოყენებით. სკოლის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები აფასებს მოსწავლეთა ზოგად უნარებს. მაგალითად, „მოსწავლეთა ჩართულობა აქტივობის - საგაკვეთლო პროცესში“ , „დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასება“ და ა.შ.
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. „ისტორიის“ შემთხვევაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც ჩანს მცდელობა, რომ შეფასება დაფუძნებოდა სტანდარტით განსაზღვრულ თემის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს, თუმცა ერთი მხრივ, რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული შედეგები დასაკონკრეტებელია, მეორე მხრივ კი დასაკორექტირებელია თემის ფარგლებში თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ოდენობები. კერძოდ, დაუშვებელია თითოეული ცნების შესაბამისი შედეგის მიღწევა სხვადასხვა ოდენობის ქულით შეფასდეს, აუცილებელია, ეს ოდენობა თანაბარი იყოს თითოეული ცნების შემთხვევაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აღნიშნული რუბრიკის კორექტირება. (თითოეული შედეგის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ოდენობა 10 ქულიანი სისტემის ფარგლებში იმგვარად გადანაწილდეს, რომ 0-4 ქულამდე უარყოფითი შეფასება არ მოიაზრებოდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ჯამში 6 სამიზნე ცნება მუშავდება, თითოეული ცნების შესაბამისი შედეგის გააზრება შეფასდეს 1 ქულით, რადგან 10-4=6, 6:6=1 ქულას). ამასთანავე, „ისტორიის“ ფარგლებში არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. შეფასების რუბრიკები არ არის წარმოდგენილი „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის“ შემთხვევაშიც. მნიშვნელოვანია „ისტორიის“ საგნის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის დაკორექტირება/დახვეწა/განვითარება, ხოლო „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის“ საგნის ფარგლებში როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი რუბრიკების შემუშავება.

შესაბამისად წარმოდგენილი რუბრიკებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კათედრების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მიღებული უკუკავშირი და შემაჯამებელი დავალების ანალიზი. ქოუჩთან ერთად მოხდა წინა სასწავლო წელს შექმნილი კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული დავალებების მოდიფიცირება და გათვალისწინებული იქნა წარმატებული გამოცდილებები. კათედრაზე ხდება შესრულებული კომპლექსური დავალებების ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და ამის საფუძველზე სამოქმედო გეგმის შედგენა. ასევე აჯამებენ მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. კურიკულუმში კომპლექსური დავალებებში იდეების სახით ასახულია მასწავლებელთა წინარე პრაქტიკული გამოცდილება. პირველ რიგში, ეს ეხება კომპლექსური დავალების პირობასა და აქტივობებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში კი გაწერილია კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და

შეფასების მექანიზმები. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
4. კომპლექსური დავალების ნიმუში;
5. კურიკულუმის ჩარჩო;
6. კათედრის ოქმი
7. შემაჯამაებლებლი დავალების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რესურსები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. დაგეგმილი და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას. ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალების შემოქმედებით ასპექტებზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები იყენებენ გარკვეულ ტექნოლოგიებს, სხვადასხვა სახის ელექტრონულ რესურსებს, გეგმავენ და ახორციელებენ ტექნოლოგიების გამოყენებით მრავალფეროვან აქტივობებს. კურიკულუმები შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელობის მიხედვით (ძირითად რესურსს წარმოადგენს), რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს, რომ მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება გათვალისწინებულია და დაკავშირებულია იმ გამოწვევებთან, რასაც მას კომპლექსური დავალების პირობა უყენებს. კომპლექსური ტიპის დავალებაზე მუშაობა აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და გარკვეული შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. მაგალითად, მეათე კლასის კომპლექსური დავალების იდეა ინგლისურ ენაში - გადაიღე დოკუმენტური ფილმი „თანაკლასელების დამოკუდებულება ტანსაცმელებზე“. აღნიშნული დავალების შესასრულებლად, მოსწავლეებს ეძლევათ ბმულის სახით კონკტექსტ მაგალითები, რაც მოსწავლეს უბიძგებს შემოქმედებითი აქტიურობისკენ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში დგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მაგალითად ბუკლეტის მომზადება, ლაშქრობის დაგეგმვა, სადაც მოსწავლემ თვითონ უნდა შეარჩიოს თემა, მოიძიოს ინფორმაცია დაახარისხოს და შექმნას პრეზენტაცია. ეს ყოველივე მოსწავლისგან ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქმედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, უქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისად 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პედაგოგთა უმეტესობა ითვალისწინებს ახალი ცოდნის გადაცემის სტრატეგიას უკვე არსებულზე დაფუძნებით, ცდილობენ მოსწავლეები თანდათან მიიყვანონ ახალი ცოდნის ათვისებამდე ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით. ამისათვის, ისინი იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სასწავლო აქტივობებს. აქაც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იგებენ და ითავისებენ ახალს. მაგალითად კომპლექსური დავალება, სასკოლო კონფერენციაზე პრეზენტაცია მოიაზრებს ნასწავლი მასალიდან მოსწავლისთვის საინტერესო თემის შერჩევას და მის საფუძველზე ახალი ინფორმაციის მოძიებას. მოსწავლეები ახდენენ თემის ფარგლებში ნასწავლი მასალის მობილიზებას, ადგენენ გეგმას და ტექსტის პირველად ვარიანტს, კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებენ პირველად ვარიანტს და სახავენ მისი გაუმჯობესების გზებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც თავად მოიაზრებს კონტრუქტივისტულ მიდგომას და ძველ გამოცდილებაზე ახლის დაშენების პრინციპს. უცხოური (პირველი და მეორე) ენის საგნობრივი კურიკულუმში ჩანს, რომ ერთი თემატური ერთეულიდან გამომდინარეობს მეორე და ხდება წინა თემის ფარგლებში დასწავლილი ერთეულების განმტკიცება. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, საშუალო საფეხურისთვის შერჩეული თემები, სავალდებულო ლიტერატურა, კომპლექსური ბუნების დავალებები, სკოლაში დანერგილი და შემუშავებული არაფორმალური განათლების სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, მისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში, ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებაში.

შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელებთან გასაუბრებრების შედეგად დასტურდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ***ზემოაღნიშნულის გათვალისიწინებით*** **2.2.1(2) ინდიკატორი**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე ყურადღება ექცევა სწავლის სწავლას და *აღნიშნული* გათვალისწინებულია კურიკულუმებში. ინტერვიუს დროს მასწავლებელების მხრიდან აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევენ მიზნის შესაბამის *აქტივობებს. ამასთან,* მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს, რა ნაბიჯები გადადგა დავალების შესრულებისას. დავალების დასრულების შემდეგ კი ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ განხორციელებულ დავალებაზე, რაც მეტაკოგნიციას აუმჯობესებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (მოსწავლის შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები,) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა აყალიბებს ხედვას სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ როგორ შეიძლება გაკეთდეს

აქცენტი სწავლის სწავლაზე. სახელმწიფო ენის პედაგოგები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე, რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს (გასასვლელი ბარათი, მოსწავლის რეფლექსია, და სხვა).

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ხედვა როგორ შეიძლება სამომავლოდ უფრო მეტად უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. აღნიშნული დასტურდება მათ მიერ დაგეგმილ სასწავლო პროგრამებში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებზე, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი *კეთდება სწავლის სწავლაზე და შესაბამისად 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსური დავალების განხორციელებისას მოსწავლეები მიიღებენ დეკლარატიულ ცოდნას, დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ, როგორც პროცედურული ასევე პირობისეული ცოდნის დაუფლება, რადგან კომპლექსური დავალებები-იგივე პროექტული დავალება მოითხოვს, რომ მოსწავლემ დეკლარატიული ცოდნა მიიღოს-მოიძიოს, შემდეგ კი მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი-ანუ პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოვლინება, როდესაც მას მოუწევს კონკრეტული პირობის და მოცემულობის დავალება შეასრულოს. საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საგნის ფარგლებში მოსწავლეები ამ დრომდე უკვე მუშაობდნენ ამ ტიპის დავალებებზე და სამომავლოდაც კურიკულუმის ჩარჩოებში უკვე განსაზღვრული აქვთ დავალებების კონკრეტული იდეები, რომელთა დამუშავებასაც შემდეგ სასწავლო წელს გეგმავენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამივე კატეგორიის ცოდნის დაუფლებაზე.

სასწავლო პროცესი საშაულო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. წარმოდგენილია რა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მჭიდრო კორელაციაში მყოფი მიზნების ძირითადი საკითხები, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დავალებებით მუშაობა მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს მოახდინონ ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზება.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი, უცხოური ენის კურიკულუმების მიხედვით თითოეული თემიდან გამომდინარეობს კომპლექსური დავალება. მაგალითად, მეათე კლასის კომპლექსური დავალება ინგლისურ ენაში - „ჩემი საყვარელი ფილმის მიმოხილვა“, დავალების ფარგლებში მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება დეკლარატიული ცოდნის გამოყენება (დაუფლებული ენობრივი ნიშნებისა და ტექსტირ მახასიათებლების), პირობისეულად გამოყენება.

აღნიშნულის შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე და შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურულუმის მიხედვით სწავლა-სწავლება პროცესში ხდება ცონდათა ურთერთდაკავშირება. საშაულო საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესი დაგეგმილია თემატურად, სასწავლო პროცესში გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელი, რაც მიუთითებს იმას, რომ უზრუნველყოფილია ცოდნის ორგანიზება და ურთერთდაკავშირება. მაგალითად, მეათე კლასის კომპლექსური დავალება ინგლისურ ენაში - ქალაქის წარმოდგენა ტურისტულად და ტურისტული ბროშურის მომზადება. დავალების შესასრულებლად, მოსწავლეს უწევს ექვსივე გლობალურ-ფუნქციური უნარის ჩართვა, გარდა ამისა საგნის ჭრილში, ის აერთიანებს უკვე დაუფლებულ ენობრივ უნარებს და უმატებს ახლად დაუფლებულ ენობრივ საშუალებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. მათ გამოკვეთეს რამდენიმე პროექტი. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის, რაც საშუალებას აძლევს, რომ იფიქროს პრობლემაზე, გამოწვევაზე, გაუმკლავდეს იმ აქტივობებს რომლებსაც მასწავლებელი სთავაზობს, ამისათვის თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია, ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა. ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, ამავდროულად შესაძლებელია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებაც არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობების ფარგლებში თუ ა.შ. აგრეთვე, მასწავლებლებთან განხორციელებულმა ინტერვიუებმა წარმოაჩინა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფა. პედაგოგების თქმით ყოველთვის ხაზი ესმება ამა თუ იმ საკითხის კავშირს მათ პირად გამოცდილებასთან. პედაგოგების თქმით ისინი ყოველთვის იყენებენ ისეთი ტიპის კითხვებს, როგორიცაა: სად, რომელ საგანში/თემის შესწავლისას შეგხვდათ მსგავსი საკითხი და სხვა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით მათემატიკის მასწავლებლებიც გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. იმ თემებში სადაც წარმოდგენილია კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების ძირითადი საკითხები, მოსწავლეები ეცნობიან აღნიშნულ დავალებებს ახალ თემაზე გადასვლისთანავე და შესაბამისად ეს „უკუსვლით დაგეგმვის“ მიდგომაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებაში. რაც შეეხება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სასურველი იყო საგანში მათემატიკა უფრო მეტი სიცხადისთვის წარმოდგენილი ჰქონოდათ ინტეგრირებული კომპლექსური დავალების ნიმუში, თუმცა, ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათემატიკის მასწავლებლებს აქვთ საგანთა შორის გაკვეთილების ინტეგრირების გამოცდილება (მათემატიკა და ფიზიკა საგნებს შორის) .

წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ახდენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები;
3. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

4. კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
5. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
6. სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/ატივობები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია რა მესამე თაობის ე.ს.გ.-ს გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნების ძირითადი საკითხები, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოაყალიბოს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებსა და სამიზნე ცნებებთან) მიმართებით. მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, კომპლექსური დავალების ფარგლებში იფარება ყველა სამიზნე ცნება, ხოლო საფეხურის ფარგლებში ყველა ქვეცნება, რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასთან, ინტერვიუებისას მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის უფრო მეტად ორგანიზებულად მოახდენენ კომპლექსური დავალებების პირობების ჩამოყალიბებას, მოსწავლეებისა საჭიროებებზე მორგებას და ასევე სხვა კომპლექსური დავალებების მოსწავლეებზე ადაპტირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა შეფასებია და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების გზით, რის გამოც 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში, კომპლექსურ დავალებებში, დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებში, სხვადასხვა პროექტებში, კონტექსტმაგალითებსა და თემატური ერთეულებში, ჩანს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების ხელშეწყობა, რადგან თემატური ერთეული და კომპლექსური დავალების პირობა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურების, ინტერესის შესაბამისია და შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საკლასო სივრცეში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. ასევე, მასწავლებლები კომპლექსური ტიპის დავალებების შემუშავებისას და დანერგვისას მოსწავლეთა ინტერესებს ითვალისწინებენ და შესაძლებლობას აძლევენ თავად აირჩიონ თუნდაც შესაქმნელი პროდუქტის ფორმატი, რაც მოსწავლეებს თავს მნიშვნელოვნად აგრძნობინებს და უწყობს ხელს მათ პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ფსიქო-ემოციური განვითარება მოიცავს თვითმართვის უნარს, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. სპორტის საგანი სწორედ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. საკუთარი სამუშაო პროცესის და ნაშრომის შეფასებისას, როდესაც მოსწავლე აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გააუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეები იაზრებენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად , 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ მოწოდებული მასალებიდან ირკვევა, რომ სკოლას აქვს შეფასების მრავალფეროვანი ფორმა: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, წერითი ნაშრომი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვა. შერჩეული და შექმნილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, რომ კათედრები შეიმუშავებენ და დახვეწენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და შეძლებისდაგვარად გააანალიზებენ მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური). ასევე, აღნიშნეს, რომ მათ გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი და ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. გაკვეთილებზე აქტიურად და მეტი სიხშირით იყენებენ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას, რაც ეხმარება მათ ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. შეფასების სისტემა **ნაწილობრივ ო**რიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ამ

ეტაპზე მხოლოდ „ისტორიის“ საგნის ფარგლებშია შემოთავაზებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის შემთხვევაში“ არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია „ისტორიის“ საგნის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის დაკორექტირება/დახვეწა/განვითარება, ხოლო „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის“ საგნის ფარგლებში როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი რუბრიკების შემუშავება. რაკი თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ შეფასებისა და თვითშეფასების მიდგომებს, მნიშვნელოვანია, რაიმე ფორმით სკოლამ წერილობითად ასახოს/განავითაროს/დახვეწოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ზემოთ აღნიშნული მიდგომები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების *მხარდაჭერაზე, შესაბამისად* 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ზოგადი სქემები შეფასების ვალიდურობაზე, შეფასების სისტემის გამჭვირვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამრიგებელი წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, რაც მოიაზრებს შეფასების სისტემის გაცნობასაც. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილია შეფასება დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე. პედაგოგები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. მათემატიკის საგნობრივი კათედრის მასწავლებლებს ინტერვიუს დროს ეთხოვათ დაეხასიათებინათ შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა , ობიექტურობა და სამართლიანობა. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შეფასების სისტემა, მათ სწორად დაახასიათეს კრიტერიუმები და კითხვაზე, თუ როგორ იყენებს ამ კრიტერიუმებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განსმაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში, რომელიც დეტალურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას ამავე საგნის შედეგების ინდიკატორებზე დაყრდნობით. ეს კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური და სანდო, რაც შეეხება შეფასების გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას, ამის დაკვირვების საშუალება ამ ეტაპზე დოკუმენტაციის ბაზაზე ნაკლებად ხერხდება. თუმცა, ინტერვიუს პასუხებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს 2023-2024 სასწ. წლიდან მოსწავლეებს მისცეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი უკუკავშირი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად. ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან მხოლოდ „ისტორიის“ საგნის ფარგლებშია შემოთავაზებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის შემთხვევაში“ არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია „ისტორიის“ საგნის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის დაკორექტირება/დახვეწა/განვითარება, ხოლო „მოქალაქეობის“ და „გეოგრაფიის“ საგნის ფარგლებში როგორც განმსაზღვრელი, ასევე, განმავითარებელი რუბრიკების შემუშავება. რაკი თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია,

რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ შეფასებისა და თვითშეფასების მიდგომებს, მნიშვნელოვანია, რაიმე ფორმით სკოლამ წერილობითად ასახოს/განავითაროს/დახვეწოს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ზემოთ აღნიშნული მიდგომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი *შეფასების სისტემა, რის გამოც* 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. თავის მხრივ ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს: შერჩევის მექანიზმს, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს, ვერიფიკაციის განმახორციელებელ პირებსა და ვერიფიკაციის პროცედურას. განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაციას უხელმძღვანელებს სკოლის დირექტორი. მანვე უნდა უზრუნველყოს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის ვერიფიკაცია. სკოლის დირექტორმა ვერიფიკაციის ჯგუფთან ერთად სასწავლო წლის ბოლოს უნდა შეადგინოს მომავალი სასწავლო წლის ვერიფიკაციის გეგმა. შეფასების ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: პროცესზე დაკვირვება, შედეგის შეფასება და გამოკითხვა. ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად სიახლეა სკოლაში და დაგეგმილია ახალი სასწავლო წლიდან. თუმცა, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით (2022-2023 სასწავლო წელი) განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომლიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. კომპლექსური დავალებების ნიმუშები, შეფასების ინსტრუმენტები და მათი რეფლექსია ინტერვიურებისას, მიანიშნებს იმაზე, რომ სახელმწიფო ენის მასწავლებლები მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზისას და შეფასებისას მიღებულ გამოცდილებას ასახავს შეფასების ვერიფიკაციის მეთოდების შემუშავებისას. მათემატიკის კათედრის ოქმებიდან ჩანს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. საშაუალო საფეხურის კათედრაზე, მომდევნო სასწავლო წლისთვის, შერჩეულია დიაგნოსტიკური შეფასების მეორე ინსტრუმენტი. დიაგნოსტირება იგეგმება წელიწადში ერთხელ. მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე შეფასდება კათედრის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი. წარმოდგენილია კათედრების სხდომების ოქმები, განხილული საკითხები მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაზეა ორიენტირებული.

ამდენად, სკოლაში დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი და შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვიშეფასების კითხვარში აღიშნულია, რომ სკოლა იცავს დოკუმენტაციის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. მოსწავლის პირად საქმეში შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და საჭიროების შემთხვევაში ექსტერნატზე ინფორმაცია. ხდება ელექტრონული ჟურნალის წარმოება. შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მტკიცებულებებს მასწავლებლები გადასცემენ კათედრას, რომელიც აწარმოებს მათ აღრიცხვას და შენახვას კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, გაირკვა რომ

სკოლა აწარმოებს შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზს, მათ აქვთ თითოეული მოსწავლის ნაშრომი შენახული. ამ ეტაპისთვის სამი წლის ვადით უზრუნველყოფს ისეთი ტიპის მასალების შენახვას, როგორიცაა მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოები, პროექტები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, ხოლო 4 წლის ვადით ინახავენ ინახავენ მოსწავლეთა წლიური განმავითარებელი შეფასების კომენტარებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას.

ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. მოსწავლეთა პირადი საქმეები;
3. მასწავლებელთა ინტერვიუები;
4. კათედრების სხდომების ოქმები;
5. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი;
6. თვითშეფასების ფორმა;
7. ხარისხის უზრუნველყობის დოკუმენტი;
8. ვერიფიკაციის მექანიზმი;
9. კომპლექსური დავალებების ამსახველი მასალები;
10. შეფასების რუბრიკები;
11. საგნობრივი კურიკულუმები;
12. სოლო ტაქსონომია;
13. კოლეგათა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. სკოლის მისიასა და ხედვაში აისახება მოსწავლის მიმართ მხადამჭერი და მიმღებლობითი გარემო, გარდა ამისა ეს მიმღებლობა

გამოხატულია სასწავლო პროგრამებსა და არჩევანის თავისუფლებაში. სასკოლო დღის რეჟიმის მიხედვით მოსწავლეებს აქვთ შესვენების დრო გაკვეთილებს შორის (შესვენებების ხანგრძლივობა, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ხანგრძლივობის შესაბამისია). სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში (საშუალო საფეხურზე) გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურება. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები არიან თანამშორმლობაზე ორიენტირებულები. ასევე ჩანს, რომ კათედრები ჩართული არიან სკოლის სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასა და კურიკულუმების შემუშავებაში. კათედრებს შორის კი არის კოლეგიალური ურთიერთდამოკიდებულება, რაც სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში. ამასთან, ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და მათი ინტერესების გათვალისწინება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას იგრძნობოდა მხარდაჭერა, ერთიანობა და გუნდურობა. სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთათვის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალის ნაწილი გადმოგზავნილია დოკუმენტების სახით. სკოლას შექმნილი აქვს საზიარო სივრცეები კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისათვის, როგორც მოსწავლეების ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის-რაც მოსწავლეთა ინტერესების და მათზე ზრუნვის დამადასტურებელი ერთ-ერთი მაგალითია. სკოლის თვითშეფასების ფორმაში განხილულია თანამშრომლობითი გარემოს მაგალითები, კათედრებზე, სკოლაში არსებულ სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის. შემუშავებულ კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა. შესაბამისად, კომპლექსური დავალების განხორცილებისას საჭირო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი კი ხელს უწყობს მიმღებლობით და მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი მასალები და მასწავლებლებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კათედრები აცნობიერებენ კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას სწავლა/სწავლების პროცესში. პედაგოგები თვლიან, რომ სასაწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. მათი თქმით, მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირპროპორციულია მათი ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ამიტომ, პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას შეეცდებიან შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე, მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ მოსწავლის მხარდაჭერასა და მასზე ორიენტირებას. შესაბამისია მოსწავლის მიღწეული შედეგიც. მოსწავლეები თავს გრძნობენ თვითრეალიზებულად და სკოლის ორგანულ ნაწილად. ეს აისახება საშაუალო საფეხურის კურიკულუმში, კერძოდ, შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებსა და დავალებების იდეებში. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭიროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას სისტემატიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლები სასწავლო პროცესის წარმართვისას ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრებზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. სკოლის პრაქტიკაში დანერგილი აქტივობა ,,კრიტიკული მეგობარი", რომლის ფარგლებში კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი გამოწვევების შესახებ, აძლევენ ეფექტურ უკუკავშირს. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. ყველაფერი ეს მტკიცდება კათედრის სხდომის ოქმებიდან, საერთო განხორციელებული პროექტებით. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილის პროექტი, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა. სკოლის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმაში, ასევე აღნიშნულია, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობის კულტურა მასწავლებლებს შორის: მუდამ ხდება გამოცდილების გაზიარება, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობითი ურთიერთობების ხელშეწყობა. საგნობრივ ოქმებში განსაზღვრულია პირობა, რომ მოხდება ყველა დავალების პირობის სრულყოფა, შესაბამისად კომპლექსური დავალების განხორცილება საკლასო ოთახში შექმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოს. კათედრების მუშაობის დებულებაში განსაზღვრულია მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ფორმები და მნიშვნელობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც ჩანს გაკვეთილებზე კათედრის წევრების ურთიერთდასწრების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, შესაბამისად 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობით კავშირებს, რომელიც მოიცავს აკადემიურ და პიროვნულ ზრდას, ზრუნვას, პატივისცემას, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას და მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის დირექცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლუბო ღონისძიებებში. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ცხადი იყო, რომ კათედრის წევრები მჭიდროდ ურთერთობდნენ ერთმანეთთან. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის სხდომის ოქმები, საერთო განხორციელებული პროექტები, საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეებიც ინტერესით არიან ჩართულები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. კათედრის მუშაობის დებულება;
4. განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები;
5. კათედრის სხდომის ოქმები;
6. სამუშაო შეხვედრის ოქმები;
7. ინტეგრირებული გაკვეთილების პროექტები;
8. კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა ხარვეზი 2.2 კომპონენტთან მიმართებით, იმის გათვალისწინებით, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია დაწესებულებას არ აქვს და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მის გამოყენებას. შესაბამისობის გეგმით დაწესებულება არაუმეტეს 12 თვის ვადაში გეგმავს ხარვეზის აღმოფხვრას, რის გამოც დაწესებულება კომპონენტთან მიმართებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *სკოლის მიერ დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ: რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია და ითვალისწინებს კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობას. კვლევა* და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

ბ)სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

სკოლას სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნული აქვს, რომ მონიტორინგი ხორციელდება მასწავლებელთა რეფლექსური შეხვედრებით, რის საფუძველზეც კეთდება SWOT- ანალიზი და მომზადებული ანგარიშები დირექციას წარედგინება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პროცესი ძირითად შემთხვევებში ზეპირსიტყვიერად ხდება. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. ამასთან სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა მუდმივად იკრიბება და აანალიზებს განვლილ სამუშაოებს, მაგალითად მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს, შემდეგ საჭიროების შესაბამისად გეგმავს სხვადასხვა აქტივობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მეთოდური მიდგომის მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრა. ასევე სკოლის თვითშეფასებით დასტურდება, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. სკოლაში უწყვეტად მიმდინარეობს შეფასების პროცესი, რომლის საფუძველზეც ხდება საჭიროებების გამოვლენა და ინტერვენციების დაგეგმვა, თუკი გადაჭრის გზები არ აღმოჩნდება ქმედითი, ხდება ახალი ფორმების, ინსტრუმენტების ძიება, რომლებიც სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე არის ორიენტირებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მუშაობა მიმდინარეობს შემუშავებული დებულების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მხარდამჭერი ჯგუფი წინასწარ შედგენილი გრაფიკით ახორციელებდა გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ ხდებოდა პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლას არჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვით მოხდება მოსწავლის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლის შეფასების პროცესი კი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება. წინარე გამოცდილებიდან შეიძლება მოვიყვანოთ მტკიცებულებად გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები და ხარისხის ჯგუფის უკუკავშირი ,,კრიტიკული მეგობარი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონოტორინგის მიმართულებებე შორისაა სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). კათედრა და ზოგადად სკოლა ამ ინდიკატორთან მიმართებით თვითკრიტიკულია, რეალურად აცნობიერებს ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ამიტომაც ცდილობს სამუშაო შეხვედრებზე გაანალიზოს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემატიკა. განიხილავს კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემებურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ურთიერთთანამშრომლობის, ამ კუთხით შეძენილი გამოცდილებისა და პედაგოგიკურ პრაქტიკის გამოყენების გზით. კათედრის წევრებს შორის იკვეთება თანამშრომლობითი ურთიერთობის მაღალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება საგნობრივ კათედრებსა და სკოლას საშუალებას მისცემს, რომ გამოკვეთოს მიღწევები, ასევე გამოავლინოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. კურიკულუმის მონიტორინგისას, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა კვლევას წარმართავს შემდეგი სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დაიგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზის გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული

პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმი მოემსახურება მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწას, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზებას, ე. წ. SWOT ანალიზის გაკეთებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტის შექმნა. მასწავლებლები, პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ გეგმავენ კონკრეტულ ნაბიჯებს მომდევნო სასწავლო წლისთვის, სკოლას აქვს მზაობა შექმნას შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარება კურიკულუმის წარმატებით განხორციელებაში, მორიტორინგსა და შეფასებაში. თუმცა, სტატუსის მაძიებლის ფორმაში აღნიშნულია, რომ პერიოდულად მასწავლებლები აწყობენ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც თავიანთი სასწავლო პროცესის ერთგვარ რეფლექსის ახდენენ, განსაზღვრავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და კოლეგებისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით გეგმავენ ინტერვენციებს, რაც ადასტურებს, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები;
3. დირექტორის ბრძანება ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნაზე;
4. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმის შაბლონი;
5. მასწავლებელთა ანგარიშები;
6. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
7. უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმი;
8. შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები პედაგოგიური საბჭოს წინაშე წარმოადგენენ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს უკუკავშირის მისაღებად. სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების, შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. სასკოლო საზოგადოების წევრებისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ მოსაზრებებსა და ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია.

მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

სკოლა გეგმავს მომავალი წლიდან მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემის გაძლიერებას, შეგროვებული ინფორმაციის დოკუმენტირებას, რათა უკეთ შეძლონ მიმოხილვა და ანალიზი.აღნიშნული მიმართულებით სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ კითხვარების სამუშაო ვერსია, რომელსაც სამომავლოდ გამოიყენებს.

შესაბამისად **2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შეფასება ხდება სხვადასხვა მეთოდების, მრავალფეროვანი წყაროსა და რესურსის გამოყენებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება გარკვეულწილად ჰოლისტურ ხასიათს ატარებს, რადგან ეს შეფასების რუბრიკები მიმართულია მოსწავლის უნარების შეფასებისკენ. მაგალითად, „საკლასო კვლევის“ შეფასების რუბრიკა, რომელიც ბუნებრივია მოსწავლის ჩვევით უნარებს აფასებს, ასევე გაკვეთილზე ჩართულობის რუბრიკა, რომელიც მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობას აფასებს, „თავიდან-მერე-ბოლოს“, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება საკუთარი თავის შეფასებასა და თავისივე სასწავლო პროცესის აგებაში. ასევე ინფორმაცია გროვდება პედაგოგებზე დაკვირვების გზით მათი პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. მასწავლებლები საკუთარი პედაგოგიკური გამოცდილების ანალიზისას და მოსწავლის შეფასებისას, მასზე დასაკვირვებლად ითვალისწინებენ განსხვავებულ კონტექსტებს. ეს შეიძლება იყოს საკლასო გარემო, აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, პიროვნული გამოცდილება და ინტერესები. სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების მეტი ინტენსივობით გამოყენების კულტურის დამკვიდრებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, ადასტურებენ, რომ მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, რაზედაც ინტერვიუს დროს ისაუბრეს მასწავლებლებმა. სკოლამ გამოთქვა მზაობა შექმნას შესაბამისი დოკუმენტი, სადაც გამოჩნდება, რომ შეფასება ეყრდნობა

მრავალფეროვან წყაროებს. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ასევე გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და განავითარონ შეფასების რუბრიკები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად **2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა მიზნობრივი შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს (დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, დისკუსიის შეფასებები). სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი ინფორმაციის შეგროვების მიზნით: დაკვირვება, დიაგნოსტირების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. მასწავლებლები თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ითვალისწინებენ კურიკულუმების შედეგებს და ახდენენ გადამუშავებული ვერსიების შემუშავებას. ახალი კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) უკუკავშირს.

შესაბამისად **2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლები აქტიურ კომუნიკაციაში არიან მშობლებთან, დამრიგებელთან და კლასის სხვა პედაგოგებთან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ. რაც შეიძლება განპირობებული იყოს მისი ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობით, ღირებულებებით, პიროვნული უნარებითა და აკადემიური შესაძლებლობებით. მასწავლებელებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემების მიზნობრივ შეგროვების სხვადასხვა მეთოდებს. სკოლაში განხორციელებული საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასება ხდება შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ხდება მოსწავლეების ინტერესების სფეროს გათვალისწინება, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით. დაკვირვებები, ინტერვიუები იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლეთა შეფასებისას გაითვალისწინონ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის პოზიტიური გარემოს შექმნისა და რესურსების ადაპტირებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ხორციელდება.

შესაბამისად **2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. საგნობრივი კურიკულუმი (უცხოური ენა);
3. შეფასების რუბრიკები;
4. მასწავლებელებთან ინტერვიუები;
5. კომპლექსური დავალების ნიმუშები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
6. საგნობრივი კურიკულუმები
7. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და მათი შეფასება
8. გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველად ახორციელებს კურიკულუმის დანერგვას, სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნას. თუმცა, მის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები, და ა. შ, ასევე მასწავლებლების ინტერვიუები ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ისინი ახორციელებენ საგნობრივი გეგმების-კურიკულუმების ანალიზს, შეფასებებს და ცვლილებების შეტანას. სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, ასევე აქვთ მზაობა

გაითვალისწინონ წინარე გამოცდილება, გაანალიზონ სუსტი და ძლიერი მხარეები, შექმნან მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ. სკოლას გაცნობიერებული აქვს რამდენად მნიშვნელოვანია ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის ეფექტიანად დანერგვისთვის განახორციელოს სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მუდმივი სრულყოფა, აკადემიური პოტენციალის და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენება და განვითარების ხელშეწყობა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მათემატიკის კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, ასევე კათედრის სხდომის ოქმები, კლასის დამრიგებელთა სამუშაო გეგმები და ა. შ.

შესაბამისად **2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შედგენისას. ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. ასეთი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიას სრულ შესაბამისობაში მოიყვანენ ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დროის სიმცირის გამო მათ ვერ მოახერხეს სრულყოფილად შეექმნათ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი. აღინიშნა, რომ სკოლის სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე მოახდენენ მის რედაქტირებას, ხოლო მორიტორინგისა და შეფასების შედეგებს გაითვალისწინებენ კურიკულუმის გადამუშავების დროს.

შესაბამისად **2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმები;
2. მასწავლებლებთან ინტერვიუები;
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
4. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 1 დაარქივებული ფაილი (შესაბამისობის გეგმა დანართებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



09.11.2023 2წ.
თარიღი